

ვლადიმერ (ლადო) პაპავა

ნეკროეკონომიკის  
ზომბირება

V U W L

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ვლადიმერ (ლადო) პაპავა

# ნეკროეკონომიკის ზომბირება

(გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის  
ზეპაპლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე)

თბილისი  
2010

**გლადიმერ პაპავა. ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010, 142 გვ.**

მონოგრაფიაში განხილულია თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის უმთავრესი საფრთხე – ეკონომიკის ზომბირება. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით აისახება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში, რომელთა უმთავრესი მახასიათებელი ნეკროეკონომიკაა. ნეკროეკონომიკის, და ზოგადად ეკონომიკის, ზომბირების პრობლემა შესწავლილია შავი ზღვის რეგიონის თორმეტი ქვეყნის მაგალითზე.

ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისათვის, ეკონომიკის შემსწავლელი სტუდენტებისა და მკითხველთა იმ ფართო წრისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თანამედროვე ეკონომიკის უმწვავესი პრობლემებით.

რედაქტორი

**რამაზ აბესაძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

ISBN 978 – 9941 – 9060 – 9 – 1

© პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010

**საავტორო უფლებები დაცულია.**

თუ ავტორის ან გამომცემლობის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, არ შეიძლება წიგნის რომელიმე მონაკვეთი გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მქანნიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

*ვუძღვნი მშობლებს*

*გიორგი პაპავასა და რუსუდან ჩხეიძეს*

# შინაარსი

წინასიტყვაობა	7
შესავალი	9
თავი 1. ეკონომიკის მკვლარი სამყარო	
1.1. ეკონომიკის ზომბირების იაპონური გამოცდილება	16
1.2. ნეკროეკონომიკის არსი	18
1.3. მკვლარი ეკონომიკის ორი ნაირსახეობა	22
1.4. მკვლარი ეკონომიკის “სიცოცხლისუნარიანობის” საფუძვლები და გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის მნიშვნელობა	24
1.5. მკვლარი ეკონომიკის რუტინის მატარებლები: <i>homo transformativus</i> -ი და <i>zombie economicus</i> -ი	30
1.6. ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე	35
თავი 2. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები გლობალური წინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში	
2.1. აზერბაიჯანი: “დახურული ეკონომიკის პარადოქსი”	41
2.2. ალბანეთი: გლობალური კრიზისის ზომიერი ზეგავლენა	46
2.3. ბულგარეთი: აღმოსავლეთევროპული გამოცდილება	49
2.4. თურქეთი: ეკონომიკის ზომბირების გზის არჩევანი	52
	9

2.5. მოლდავეთი: ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური სირთულეები	55
2.6. რუმინეთი: გაკოტრების მისაბაძი პრაქტიკა	58
2.7. რუსეთი: კრიზისი ნეკროეკონომიკის კლასიკურ ქვეყანაში	61
2.8. საბერძნეთი: მთავრობის შეცდომებით დამძიმებული კრიზისი	67
2.9. საქართველო: “ომის პარადოქსი”	70
2.10. სერბეთი: პოპულიზმი არჩევნების შემდეგ	76
2.11. სომხეთი: “დიასპორის პარადოქსი”	80
2.12. უკრაინა: შეცდომებისა და კრიზისების ქვეყანა	83
<b>დასკვნა</b>	<b>89</b>
<b>ბამოყენებული ლიტერატურა</b>	<b>94</b>
<b>ZOMBIE-ING OF THE NECROECONOMY (The Impact of the Global Financial and Economic Crisis on the Countries of the Black Sea Region) by Vladimer Papava (Summary)</b>	<b>131</b>

## წინასიტყვაობა

დღეს როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში, არაერთი ნაშრომი გამოიცემა, რომელიც ეძღვნება გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის ჩამოყალიბებისა და გავრცელების, სხვადასხვა ქვეყნებზე ზეგავლენის პრობლემას. კრიზისთან დაკავშირებულ არაერთ საკითხზე თანხმობა უკვე მიღწეულია, თუმცა ეკონომისტები ჯერჯერობით ვერ შეთანხმდნენ მის მომავალზე – პასუხგაუცემელი რჩება კითხვა კრიზისის დასრულების ვადის შესახებ. არცთუ იშვიათად, ყურადღება მახვილდება კრიზისის მეორე და მესამე ტალღების შესაძლებლობაზე.

თუკი თანამედროვე კრიზისის ჩამოყალიბებამდე ზოგადად ეკონომიკური კრიზისის დასახასიათებლად ეკონომისტები იყენებდნენ ისეთ ლათინურ ასოებს, როგორებიცაა “V” (ანუ ფორმულა “ჯერ ვარდნა, შემდეგ აღმავლობა”) და “U” (ანუ ფორმულა “ჯერ ძლიერი ვარდნა, შემდეგ სტაგნაცია, და, ბოლოს, არანაკლებ ძლიერი აღმავლობა”), დღეს მიმდინარე კრიზისის აღწერის მიზნით უკვე ხშირად გამოიყენება ასო “W” (ანუ ფორმულა “ჯერ ვარდნა, შემდეგ აღმავლობა, კვლავ ვარდნა და მხოლოდ ამის შემდეგ საბოლოო აღმავლობა”). უფრო პესიმისტურად განწყობილნი კი იყენებენ ასო “L”-ს (ანუ ფორმულა “ჯერ ძლიერი ვარდნა, შემდეგ ხანგრძლივი სტაგნაცია, და, ბოლოს, მხოლოდ მცირედი აღმავლობა”). ყველა ეს ლათინური ასო ძალზე პირობითად ახასიათებს სხვადასხვა ეკონომიკურ კრიზისს, რომლის ბუნება და მიმდინარეობის შესაძლო ტრაექტორიები ბევრად უფრო რთულია.

წინამდებარე მონოგრაფია ეძღვნება თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ყველაზე დიდი საფრთხის – ეკონომიკის ზომბირების შესწავლას. თანაც

უმთავრესი აქცენტი გაკეთებულია პოსტკომუნისტურ სივრცეში ეკონომიკის ზომბირების პრობლემაზე.

2009 წლის გაზაფხულზე შავი ზღვის შესწავლის ცენტრის (International Centre for Black Sea Studies – ICBSS) დაკვეთით ჩავატარე კვლევა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენის შესახებ, რომელიც 2010 წლის გაზაფხულზე მცირე მოცულობის წიგნად (Papava, 2010b) გამოიცა ათენში. წინამდებარე ქართული წიგნი ინგლისურად გამოცემული ხსენებული ნაშრომის პირდაპირი თარგმანი კი არ არის, არამედ გამდიდრებულია უახლესი ინფორმაციით და, ამდენად, ის დამოუკიდებელი ნაშრომის ხასიათს ატარებს.

მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილ მონოგრაფიას საფუძვლად დაედო ჩვენ მიერ შემუშავებული ნეკროეკონომიკის თეორია (პაპავა, 2000, 2002, გვ. 150-166; Papava, 2001a, 2001b, 2002, 2005; Papava and Tokmazishvili, 2007; , 2001, , 2005, cc. 92-99), რომელმაც შემდგომი განვითარება ეკონომიკის ზომბირების კონტექსტში პოვა (პაპავა, 2009ა, 2009გ, 2010ა, Papava, 2009c, 2009d, 2009e, 2010a, , 2009 , 2009 ).

ვიმედოვნებთ, წიგნში წამოწეული და განხილული საკითხები მკითხველთა სათანადო ინტერესს გამოიწვევს. თავის მხრივ, ჩვენ მზად ვიქნებით, ნებისმიერი კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნა მივიღოთ.



## შესავალი

კომუნისტური რეჟიმის მსხვერველსა და საბჭოთა კავშირის დაშლას ამ ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ისტორიული პროცესი მოჰყვა. ოც წელზე მეტი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ არაერთმა პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ აშკარა წარმატებას მიაღწია, რაც, უწინარეს ყოვლისა, ევროკავშირში გაწევრიანებაში გამოიხატა, მაშინ, როცა პოსტკომუნისტური ქვეყნების მეორე ჯგუფი ჯერ კიდევ შორსაა ევროპული სტანდარტებიდან. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ევროკავშირის წევრობა ნებისმიერი პოსტკომუნისტური ქვეყნისათვის ერთნაირად მიღწევადი ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ, მაგალითად, ცენტრალური აზიის პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის ეს, სულ ცოტა, გეოგრაფიულადაა შეუძლებელი. მაგრამ იმ პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, რომელთათვისაც გეოგრაფიული ფაქტორი ევროინტეგრაციისათვის ხელშემშლელი არ არის, ევროკავშირში გაწევრიანება შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წარმატებული მცდელობა, და ასეთი ქვეყნები შეიძლება შეფასდნენ, როგორც “ლიდერები”. ის ქვეყნები კი, რომლებმაც კომუნისტური რეჟიმის მსხვერველს შემდეგ ვერ მოახერხეს საბაზრო ეკონომიკის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება, სამწუხაროდ, “აუტსაიდერთა” ჯგუფს შეადგენენ (Papava, 2006).

ის, რომ “ლიდერი” ქვეყნებისათვის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი დასრულებულია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. რაც შეეხება “აუტსაიდერ” ქვეყნებს, იმის გამო, რომ ისინი ჯერ კიდევ შორს არიან საბაზრო ეკონომიკის დასავლური სტანდარტებიდან, არაერთი ეკონომისტი თვლის, რომ ამ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ჯერ

კიდევ არ არის დასრულებული. სინამდვილეში, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ამ ქვეყნებშიც დასრულებულია და ჩამოყალიბებულია სრულიად ახალი ტიპის კაპიტალისტური ეკონომიკა. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც კაპიტალიზმის განვითარების ისტორია ცხადყოფს, რომ ჩამოყალიბებულია კაპიტალიზმის არაერთი მოდელი (მაგალითად, Coates, 2000; Crouch and Streeck, eds., 1997; Dahms, ed., 2000; Gwynne, Klak and Shaw, 2003; Hall and Soskice, eds., 2001). “აუტსაიდერ” ქვეყნებში კი ჩამოყალიბდა პოსტკომუნისტური კაპიტალიზმი (პაპავა, 2002; , 2005; Kennedy and Igen, 2007; Papava, 2005), რომლის ძირითად ეკონომიკურ მახასიათებელს “შეკვდარი ეკონომიკა” – ნეკროეკონომიკა<sup>1</sup> წარმოადგენს (Papava, 2001a, 2001b, 2002, 2005).

დღეს თითქმის მთელი მსოფლიო გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (მაგალითად, Krugman, 2008; , 2008) მოიცვა, რაც არაერთ უმწვევეს პრობლემას წარმოქმნის, მათ შორის პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის.

ეს კრიზისი აშშ-ში ჯერ კიდევ 2007 წელს ჩაისახა. მოგვიანებით ის დასავლეთ ევროპასა და იაპონიაზე, ხოლო 2008 წლის ბოლოსათვის კი პოსტკომუნისტურ ქვეყნებზეც გავრცელდა (Dabrowski, 2009, p. 5). ამ კრიზისის მსოფლიოში დაჩქარებული გავრცელება ფინანსური გლობალიზაციითაა განპირობებული (მაგალითად, Spulb r, Berceanu and Spulb r, 2010, pp. 126-131). თანამედროვე ფინანსური კრიზისის განვითარება შეიძლება შემდეგი ტრანსფორმაციული ჯაჭვით აღიწეროს: იპოთეკური კრიზისი, როგორც მოსალოდნელი იყო, საბანკო კრიზისში გადაიზარდა, რომელსაც უკვე სამ-

---

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ პოლიტიკურ მეცნიერებებში გამოიყენება მსგავსი ტერმინი – “ნეკროპოლიტიკა” (Mbembe, 2003).

რეწველო კრიზისი მოჰყვა (Masimli, 2009, p. 72). თანამედროვე კრიზისი ასევე შეფასებულა, როგორც მოთხოვნის კრიზისი (Ramalho, Rodríguez-Meza and Yang, 2009, p. 1). შედეგად, თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისი გადაიზარდა ეკონომიკურ კრიზისში და ჩამოყალიბდა, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი (მაგალითად, Petrova, 2009, p. 9).

გასული საუკუნის 20-30 წლებში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოება იყო. იმის შესახებ, თუ რა ბუნებისაა თანამედროვე გლობალური კრიზისი, ჯერჯერობით ერთიანი აზრი არ არის ჩამოყალიბებული. ეკონომისტთა ერთი ჯგუფისათვის ადგილი აქვს არა საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოების, არამედ ვალების ჭარბწარმოების კრიზისს, და, აქედან გამომდინარე, მას “საკრედიტო კრიზისს” უწოდებს (მაგალითად, Soros, 2008). კონომისტთა მეორე ჯგუფისათვის თანამედროვე კრიზისი სხვა არაფერია თუ არა საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოების კრიზისი, რაც გამოიწვია “ფიდუციარული ფულის”<sup>2</sup> მასის ზრდამ, რის შედეგადაც ზრდადი მიწოდების საფუძველს ქმნიდა არა იმდენად მიმდინარე, არამედ მომავალში მისაღები შემოსავლები, რომელთა მიღებაც ყოველთვის არც იყო და არც არის გარანტირებული (Ivanov, 2009, p. 22).

ჩვენი აზრით, ორივე ეს შეხედულება სწორია და ისინი სულაც არ არის ურთიერთგამომრიცხავი. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, თუ როგორი – *სტატიკური* თუ *დინამიკური* კუთხით იქნება განხილული თანამედროვე კრიზისის ფორმირების წინა პერიოდი. მართლაც, *სტატიკაში* ვალების ჭარბწარმოება

---

<sup>2</sup> “ფიდუციარული ფული” ნიშნავს ისეთ ფულს, რომლის უკან მხოლოდ და მხოლოდ ნდობაა და მეტი არაფერი.

არავითარ ეჭვს არ იწვევს. სხვა სიტყვებით, თანამედროვე კრიზისი არის მზარდი მიმდინარე მოხმარების შეუფერხებელი დაფინანსების შედეგი. ამ დაფინანსების წყარო კი, გარდა მიმდინარე შემოსავლებისა, სულ უფრო მეტად ხდებოდა კრედიტები, რომლებიც გაიცემოდა მომავალში მისაღები შემოსავლების იმედად, თუმცა ეს შემოსავლები ყოველთვის როდი იყო რეალისტური. მომავალში მისაღები შემოსავლების ნაწილი კი უნდა დახარჯულიყო წარსულში განხორციელებული მოხმარების ანაზღაურებისათვის, რის შედეგადაც ამ შემოსავლების კიდევ უფრო ნაკლები ნაწილია შესაძლებელი, რომ შესაბამისი პერიოდის მოხმარების დასაფინანსებლად იქნეს გამოყენებული. შედეგად, მომავალში მიწოდება კიდევ უფრო მეტია ვიდრე მიმდინარე შემოსავლებით უზრუნველყოფილი გადახდისუნარიანი მოთხოვნა. მაშასადამე, *დინამიკაში* აშკარად იკვეთება საქონლისა და მომსახურების ჭარბწარმოება.

კრიზისის ჩამოყალიბებისა და მიმდინარეობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანტიკრიზისულ პროგრამებს. სალი ეკონომიკური აზრის თანახმად, ასეთმა პროგრამებმა თავიდან უნდა აიცილონ პროტექციონისტული ღონისძიებების გატარების, ნაციონალიზაციისა და სახელმწიფო სექტორის გაფართოების ცდუნება (Dabrowski, 2009, p. 5), თუმცა, იმავდროულად, სულაც არ არის რეკომენდებული სოციალური პრობლემების გადაჭრის გადავადება კრიზისის გამო (Horváth, 2009, pp. 13-14).

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პრობლემეტიკის კვლევას მსოფლიოში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიეძღვნა. საყურადღებოა ქართულ ავტორთა პუბლიკაციები, რომლებიც გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის, მისი საქართველოს ეკონომიკაზე ზეგავლენის შესწავლის სხვადასხ-

ვა ასპექტებს ეძღვნება (მაგალითად, აბესაძე, 2010; ასათიანი, 2009ა, 2009ბ, 2010; გამსახურდია, 2009: გველესიანი, 2009; კაკულია მ., 2010; კაკულია რ., 2010; კვარაცხელია, 2010; იაკობიძე, 2009; მალაშხია, 2010; მესხია, 2009, 2010; მექვაბიშვილი, 2009, გვ. 46-80, 2010ა, 2010ბ; ნუცუბიძე და ნუცუბიძე, 2010; პაპავა, გ., 2010; ქათამაძე, 2009; ჩიქავა, 2010; ჩიქობავა, 2010; ცარციძე, 2010; ჭითანავა, 2010; ხადური, 2009; ჯიბუტი, 2010; Aptsiauri, 2010; Narmania, 2009; Sakevarishvili, 2010; Silagadze and Tokmazishvili, 2009, pp. 19-42; , 2010).

თანამედროვე კრიზისით წარმოქმნილ უამრავ პრობლემას შორის განსაკუთრებული სიმწვავეით მსოფლიო მასშტაბით დღის წესრიგში ეკონომიკაზე ზომბი-ფირმების შეტევის თემა დგება (Stepek, 2008; Willie CB, 2009), რის გამოც გაჩნდა პუბლიკაციები ე.წ. ეკონომიკის “ახალი” სფეროს – “ზომბი-ნომიკის” (“zombie-nomics”) შესახებ (LeLaulu, 2009). ეკონომიკის ზომბირების ეს საშიშროება დამატებით პრობლემებს უქმნის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ შორს არიან საბაზრო ეკონომიკის დასავლური მოდელებისგან.

მოცემული ნაშრომის მიზანია იმ ძირითადი მიზეზების გამოვლენა, რომელთა გამოც პოსტკომუნისტური ეკონომიკის ზომბირება ამ ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის მეტ დამატებით პრობლემას წარმოქმნის, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ამასთან, ნაშრომში შემოთავაზებულია ზოგიერთი ღონისძიება, რომელთა რეალიზაციასაც უპირველესი და პრინციპული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით პოსტკრიზისულ პერიოდში.

გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გამოვლენის თავისებურებათა შესწავლის მიზნით ნაშრომში გაანალიზებულია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები. კერძოდ, აღებულია შავი ზღვის ეკონომიკური თა-

ნამშრომლობის (Black Sea Economic Cooperation – BSEC) ყველა თორმეტი წევრი სახელმწიფო – აზერბაიჯანი, ალბანეთი, ბულგარეთი, თურქეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, საბერძნეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, უკრაინა. ბუნებრივია, ამ ჯგუფის სხვადასხვა ქვეყანაზე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ზეგავლენა განსხვავებულია, რაც, უწინარეს ყოვლისა, განპირობებულია მოცემული ქვეყნების ფინანსური ბაზრების განვითარების დონით (Gavras and Iorga, 2009).

მიუხედავად იმისა, რომ პოსტკომუნისტური ქვეყნების ფინანსური ბაზრები არ არის განვითარებული, თანამედროვე გლობალური კრიზისის საწყის ფაზაში უკვე გამოითქმებოდა მოსაზრება, რომ ეს ქვეყნები ამ კრიზისის უარყოფით ზეგავლენას თავიდან ვერ აიცილებდნენ (მაგალითად, Åslund, 2009b; Dabrowski, 2009). ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის სირთულეების მიუხედავად, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ფინანსური სისტემები არ ჩამოშლილა, რაც უეჭველად ამ ქვეყნების წარმატებად უნდა ჩაითვალოს (Gavras, 2010, p. 13). როგორც მოსალოდნელი იყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები კრიზისის დაწყებისთანავე მჭიდროდ თანამშრომლობენ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან (Åslund, 2009b, 2009c, pp. 21-24; IMF, 2009b, pp. 19-20).

წინამდებარე ნაშრომში ცალ-ცალკე განვიხილავთ შავი ზღვის რეგიონის თითოეული ქვეყნის ინდივიდუალურ სირთულეებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისთან. იმისათვის, რომ რეგიონზე მეტ-ნაკლებად სრულფასოვანი სურათი ჩამოყალიბდეს, შავი ზღვის რეგიონის პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან ერთად, ეკონომიკის ზომბირების პრობლემა გაანალიზებულია რეგიონის

ორ არაპოსტკომუნისტურ ქვეყანაზეც – თურქეთსა და საბერძნეთზეც.

აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების სტატისტიკური ინფორმაცია არ არის სტრუქტურულად ერთნაირი. რეგიონის იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის წევრები არიან (ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი), სტატისტიკური ინფორმაცია ყველაზე უფრო მოწესრიგებული აქვთ, მაშინ, როცა რეგიონის სხვა სახელმწიფოების სტატისტიკური ინფორმაცია აშკარად მოითხოვს დახვეწას. მიუხედავად ამისა, რეგიონის თითოეულ ქვეყანასთან მიმართებაში ნაშრომში მოყვანილია შესაბამისი ოფიციალური სტატისტიკური ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

შესასწავლი პრობლემის განხილვას დავიწყებთ, ერთი მხრივ, ზომბი-ეკონომიკის ფენომენის, და, მეორე მხრივ, პოსტკომუნისტური ეკონომიკის ძირითადი ნიშნების მოკლე დახასიათებით.

# თავი 1. ეკონომიკის მკვლარი სამყარო

## 1.1. ეკონომიკის ზომბირების იაპონური გამოცდილება

ზომბი-ეკონომიკის ფენომენი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება იაპონიას, სადაც ის გასული საუკუნის 90-იან წლებში “ჩაისახა” (მაგალითად, Hoshi, 2006). ზომბი-ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს არაგადახდისუნარიანი, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, რომლებიც, ამავდროულად, განაგრძობენ ფუნქციონირებას, რის გამოც მათ “ზომბებს” უწოდებენ.

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების ძირითადი ფინანსური წყაროა დაკრედიტების სისტემა (Caballero, Hoshi and Kashyap, 2008; Smith, 2003). კერძოდ, ასეთი ფირმების დაკრედიტებას ახდენენ ე.წ. ზომბი-ბანკები, რომლებიც ამ ფირმებს შეღავათიანი პირობებით აძლევენ კრედიტებს (კერძოდ, კრედიტებს აძლევენ საშუალო საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთებით) (Hoshi and Kashyap, 2005; Smith, 2003). ასეთი წინასწარვე გაუმართლებელი კრედიტები ამ ბანკების აშკარა დანაკარგებს იწვევს (Ahearne and Shinada, 2005, p. 368).

ზომბი-ფირმების ფუნქციონირების მოცემულ სქემაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ ახერხებენ ზომბი-ბანკები არსებობის გაგრძელებას. ასეთი ბანკების უკან, როგორც წესი, მთავრობა დგას (Kane, 2000b, p. 301), რომელიც გასცემს სამთავრობო გარანტიებს, ახორციელებს დეპოზიტების დაკრედიტებას, რაც, საბოლოო ანგარიშით, იწვევს იმას, რომ ზომბი-ბანკები გადასახადების გადამხდელთა ხარჯზე არსებობენ (Kane, 2000a, p. 164). ამგვარი ფინანსური სტრუქტურა ერთგვარად სტიმულს აძლევს “ჯანსაღი” ფირმების ზომბებად გადაქცევას (Hoshi, 2006, p. 40).



სწორედ ზომბი-ფირმების, ზომბი-ბანკებისა და მთავრობის ურთიერთობის შედეგად წარმოიქმნება ზომბი-ეკონომიკა, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკის ჯანსაღ ნაწილს. კერძოდ, ზომბი-ბანკების მხრიდან შეღავათიანი დაკრედიტების სისტემით უზრუნველყოფილი ზომბი-ფირმების არსებობა ზღუდავს ბაზარზე ჯანსაღი ფირმების გაჩენისა და არსებობის შესაძლებლობას (Hoshi, 2006, p. 33), რომლებსაც უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებით უწევთ კრედიტების აღება (Caballero and Kashyap, 2002). ამასთან, შეღავათიანი დაკრედიტების გამო, ზომბი-ფირმებს კონკურენციულ ბრძოლაში უფრო ადვილად შეუძლიათ ფასების შემცირება (Smith, 2003, p. 288) და იქ მომუშავე ადამიანებისათვის ხელფასის გაზრდა (Hoshi, 2006, p. 33). ხოლო ბაზარზე ჯანსაღი ფირმების, ანუ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფირმების დაშვების დაბრკოლება საბოლოო ანგარიშით მთელი ეკონომიკის ეფექტიანობას ამცირებს (Ahearne and Shinada, 2005, p. 364).

ზომბი-ეკონომიკა, როგორც ასეთი, ფინანსურ კრიზისში იღებს სათავეს (Hoshi and Kashyap, 2004; Ahearne and Shinada, 2005). როგორც ცნობილია, სტაგნაციის პირობებში ეკონომიკას შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოებისა და ვაჭრობის უძრავობა ახასიათებს, რასაც თან სდევს უმუშევართა რიცხვის ზრდა, ხელფასისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შემცირება. ასეთ პირობებში მთავრობისაგან, როგორც წესი, მოითხოვენ ეკონომიკის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანას, ის კი საბანკო სისტემის (საბანკო კრიზისის თავიდან ასაცილებლად) და მთელი ეკონომიკის ფუნქციონირების შენარჩუნებას საბიუჯეტო დაფინანსების გზით ცდილობს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკა მექვიდრეობად იღებს მის არასიცოცხლისუნარიან ნაწილს, რომელიც ცდილობს, სახელმწიფოს მხრიდან ის

ფინანსური მხარდაჭერის სისტემა შეინარჩუნოს, რომლითაც იგი სტაგნაციის პირობებში სარგებლობდა. შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზომბი-ეკონომიკა ფინანსური კრიზისის მემკვიდრეობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს რომ, საერთაშორისო გამოცდილებების თანახმად, ზომბი-ეკონომიკის ფენომენი დამახასიათებელია არა მხოლოდ იაპონიის, ან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის (მაგალითად, Holle, 2005), არამედ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც (მაგალითად, Kane, 2000a).

## 1.2. ნეკროეკონომიკის არსი

მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მკვდარი ფირმები, ფინანსური კრიზისების მიუხედავად, არა მხოლოდ არსებობს, არამედ “წარმატებითაც” ფუნქციონირებს პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ მბრძანებლური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებაში, რომელიც მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხარისხთან იყო დაკავშირებული.

მბრძანებლურ ეკონომიკაში კონკურენციის უარყოფამ მისი ეკონომიკური განვითარების ერთადერთი ქმედითი სტიმული გაანადგურა, რის შედეგადაც, როგორც წესი, დაბალხარისხიანი პროდუქცია იწარმოებოდა, რომლის ფასიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დოტაციების ხარჯზე ხელოვნურად იყო შემცირებული. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების ძირითადი წყარო იყო ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვით მიღებული ამონაგები და უცხოური ვალუტის მიღების პრაქტიკულად ერთადერთ სტაბილურ არსს ნედლეულის (უწინარესად ნავთობის) ექსპორტი წარმოადგენდა.

მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევამ მსოფლიო ბაზრის წინაშე “გააშიშვლა” პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა: ზოგიერთი გამოწვევის გარდა (კერძოდ, ჰიდროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ასევე ნედლეულის პირველადი გადამუშავების ზოგიერთი ობიექტი), ამ ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, მისი დაბალი ხარისხის ან(და) სიძვირის გამო, საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ამ პროდუქციისათვის ბაზარი არ არსებობს და ფაქტობრივად ვერც იარსებებს. ასეთი ტიპის ეკონომიკას შეგვიძლია ვუწოდოთ “შეკვდარი”, ანუ *ნეკროეკონომიკა* (პაპავა, 2000, 2002, გვ. 150-166; Papava, 2001a, 2001b; , 2001), ხოლო მის შემსწავლელ თეორიას *ნეკროეკონომიკის თეორია*, *ნეკროეკონომიკისი* (პაპავა, 2000, 2002, გვ. 150-166; Papava, 2002, 2005; , 2001).

აღსანიშნავია, რომ “ნეკროეკონომიკის” ცნებასთან ყველაზე მიახლოებული “ვირტუალური ეკონომიკის” ცნებაა (Gaddy and Ickes, 1998, 2002; Woodruff, 1999).

ბუნებრივია, როცა ეკონომიკის რომელიმე ნაწილი მკვდარია, მისი დანარჩენი ნაწილი სიცოცხლისუნარიანი იქნება, რომელსაც პირობითად დავარქვათ *ვიტალური ეკონომიკა*, ანუ *ვიტაეკონომიკა*, ხოლო მის შემსწავლელ თეორიას *ვიტაეკონომიკის თეორია*, *ვიტაეკონომიკისი*, რაც თავისი შინაარსით სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიკის თეორია, ეკონომიკისი საყოველთაოდ გავრცელებული გაგებით, ვინაიდან ეკონომიკის თეორია, როგორც ასეთი, სწავლობს ეკონომიკას, როგორც სიცოცხლისუნარიან სისტემას.

პირველი კითხვა, რომელიც პასუხის გაცემას მოითხოვს: რა აქვთ საერთო და რით განსხვავდება ნეკროეკონომიკა ვიტაეკონომიკისგან?

ნეკროეკონომიკაში, ისევე, როგორც ვიტაეკონომიკაში, შეიძლება პროდუქტის წარმოება, ანუ პრაქტიკუ-

ლად შეიძლება არსებობდეს *მიწოდება*, მაგრამ ვიტა-ეკონომიკაში წარმოებული პროდუქტისაგან განსხვავებით, ნეკროეკონომიკაში წარმოებულ პროდუქტზე, მისი დაბალი ხარისხის ან(და) სიძვირის გამო, არავითარი *მოთხოვნა* არ არსებობს. შესაბამისად, *ნეკროეკონომიკა გამორიცხავს ყიდვა-გაყიდვის ნებისმიერ რაციონალურ აქტს*, არსებითად გამორიცხულია წონასწორული ფასის არსებობაც.

თუ ეკონომიკის გარკვეული სეგმენტი მკვდარია, მაშინ, წმინდა თეორიულად, პრობლემაც არ უნდა არსებობდეს: საღი აზრის თანახმად, ნეკროეკონომიკა არავითარ გაველენას არ უნდა ახდენდეს მის ცოცხალ ნაწილზე. ეკონომიკის თეორიის თანახმად, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს ასეც უნდა ხდებოდეს: არაკონკურენტუნარიანი წარმოება ისე „ქრება“, რომ ფაქტობრივად არავითარ საგრძნობ პრობლემას არ უქმნის ეკონომიკის დანარჩენ ნაწილს. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ეკონომიკური თეორიის კვლევების არეალის შემოფარგვლა იმ საბაზრო ეკონომიკის პრობლემებით, რომელშიც ნეკროფორმების არსებობა უარყოფილია. სინამდვილეში ყველაფერი ბევრად რთულადაა.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში, ასევე პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში, *ნეკროეკონომიკა მბრძანებლური ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე ჩამოყალიბდა*.

პოსტკომუნისტური ეკონომიკა შედგება ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის შემდეგი ჯგუფებისგან:

1. ნეკროეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
2. ვიტაეკონომიკა სახელმწიფო სექტორში;
3. პრივატიზებული ნეკროეკონომიკა;
4. პრივატიზებული ვიტაეკონომიკა;
5. ახალი კერძო ინვესტიციებით შექმნილი ვიტაეკონომიკა.

პირველ ჯგუფში, როგორც წესი, შედის გადამმუშავებული მრეწველობის მსხვილი და საშუალო ობიექტები, რომლებიც, იქ წარმოებული პროდუქციის სახეობათა დანიშნულებიდან გამომდინარე, შეფასებულია როგორც სტრატეგიული, თუმცა, არაკონკურენტუნარიანობის გამო, ეს საწარმოები ბაზრის პირობებში მკვდარია. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომლის თანახმადაც, მბრძანებლური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მრეწველობის დაფინანსება ხდებოდა სოფლის მეურნეობაზე, სოციალურ სფეროზე, საბინაო მშენებლობასა და ტრანსპორტზე გაწეული დანახარჯების “ეკონომიის” გზით ( , 2009, . 61).

სახელმწიფო სექტორში არსებული ვიტაეკონომიკის საფუძველია უპირატესად ენერგეტიკა (უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერჯის წარმოება და გადაცემა, ნავთობისა და გაზის მოპოვება და მიწოდება), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და მომსახურება. მათი პრივატიზაციის შემთხვევაში ისინი გადადის მეოთხე ჯგუფში – პრივატიზებულ ვიტაეკონომიკაში. ამ ჯგუფმა შეიძლება მოიცვას აგრეთვე მრეწველობის ზოგიერთი საშუალო და უპირატესად მცირე ობიექტები (მათ პრივატიზაციამდე).

მესამე ჯგუფში შედის პირველი ჯგუფის საწარმოები მათი პრივატიზაციის შემდეგ. საკუთრების ფორმის შეცვლა თავისთავად სულაც არ ნიშნავს უმოქმედო საწარმოების ავტომატურ ამოქმედებას, ვინაიდან “მიცვალებულის” მდგომარეობა არ იცვლება იმის მიხედვით, თუ ის ვისია – სახელმწიფოსი თუ კერძო ფირმის. *სწორედ ამ ფაქტის იგნორირება წარმოადგენს პრივატიზაციის პროცესის შედარებითი დისკრედიტაციის ძირითად მიზეზს*, როცა მას, განსაკუთრებით მის საწყის სტადიაში, ინვესტირების პროცესისგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად ენიჭებოდა უმოქმედო

საწარმოების ამოქმედების ფუნქცია იმის მიუხედავად, ყოველი კონკრეტული საწარმო სინამდვილეში ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

ბოლო, მეხუთე ჯგუფი მოიცავს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ყველაზე “ჯანსაღ” ნაწილს, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე ახლადაა შექმნილი კერძო ინვესტიციების ხარჯზე.

### 1.3. მკვდარი ეკონომიკის ორი ნაირსახეობა

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბი-ეკონომიკა ეს ისეთი ერთი და იმავე მოვლენის აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ტერმინია, როგორცაა მკვდარი ეკონომიკის არსებობა, რომელიც ფუნქციონირებას განაგრძობს მისი ასეთი მდგომარეობის მიუხედავად.

სინამდვილეში, ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის მსგავსება სწორედ იმით შემოიფარგლება, რომ ისინი ორივე ახასიათებს მკვდარი ეკონომიკის არსებობას და სხვა არაფერი (Papava, 2009d). არადა, მათ შორის განსხვავება ბევრად უფრო არსებითია.

ჯერ ერთი, ისინი ჩაისახა თვისებრივად განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებში: ნეკროეკონომიკა – მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში, ხოლო ზომბი-ეკონომიკა – საბაზრო ეკონომიკის წიაღში. ამასთან, ნეკროეკონომიკა ფაქტობრივად არ არის დაკავშირებული ფინანსურ კრიზისთან, მაშინ, როცა ზომბი-ეკონომიკა მისი უშუალო პროდუქტია.

მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზომბი-ფირმების არსებობაში, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, განსაკუთრებული ადგილი ზომბი-ბანკებს ეკუთვნის, მაშინ, როცა ნეკროეკონომიკის სუბიექტები ფუნქციონირებას სუბსიდიების მიღების ან გადასახადების

გან გათავისუფლების გზით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხარდაჭერის მექანიზმების ხარჯზე ცდილობენ.

ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის განსხვავებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ისიც, თუ ყველაზე ხშირად ეკონომიკის რომელ დარგებში გვხვდება ისინი.

მაგალითად, ნეკროეკონომიკა უმთავრესად გადამმუშავებელი მრეწველობის მსხვილ და საშუალო ობიექტებს მოიცავს, მაშინ, როცა ზომბი-ფირმები, როგორც იაპონური ეკონომიკის ანალიზი ცხადყოფს (Hoshi, 2006), ფაქტობრივად გადამმუშავებელ მრეწველობაში არ არსებობს. ამასთან, რაც უფრო მსხვილია პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმო, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ასეთი საწარმო ნეკროეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, მაშინ, როცა იმავე იაპონურ ეკონომიკაში მსხვილი საწარმოები არ არიან ზომბი-ფირმები, რადგან დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ; ზომბი-ფირმები გვხვდება მხოლოდ მცირე საწარმოებში, თუმცა მათ შორის არა ყველაზე მცირეში (Hoshi, 2006).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ, თუ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საერთაშორისო სავალუტი ფონდი და მსოფლიო ბანკი დაბეჯითებით ითხოვენ, შეწყდეს ყოველგვარი სუბსიდიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გამოირიცხოს რაიმე საგადასახადო შეღავათები, ფინანსური კრიზისების პირობებში მუშაობას იწყებს ლობირების სისტემა, რათა ამ საერთაშორისო ინსტიტუტებმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწიონ ეროვნულ მთავრობებს შეღავათიანი დაკრედიტების სისტემის შესანარჩუნებლად რესურსების გამოყოფის მიზნით (Kane, 2000a, p. 163, 2000b, p. 288).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნეკროეკონომიკა და ზომბი-ეკონომიკა ორი მონათესავე, მაგრამ მინც მნიშვნელოვანწილად განსხვავებული ფენომენია.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, “ძმები არიან, მაგრამ არა – დვიდლი!”

სამწუხაროდ, ნეკროეკონომიკასა და ზომბი-ეკონომიკას შორის ჩამოთვლილი განსხვავებები ყოველთვის არ გაითვალისწინება და ზოგიერთ გამოკვლევაში ნეკროეკონომიკის თავისებურებათა უგულებელყოფით პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (უფრო ხშირად ჩინეთისა და რუსეთის მაგალითზე) მკვდარი ფირმების პრობლემების შესწავლა წარმოებს არა ნეკროეკონომიკის, არამედ ზომბი-ეკონომიკის კონტექსტით (მაგალითად, Guriyev and Tsyvinski, 2010, pp. 22-24; Lindsey, 2002, pp. 126, 153; Kane, 2000b, pp. 300-301; Shleifer and Treisman, 2000, pp. 106-107).

#### **14. მკვდარი ეკონომიკის “სიცოცხლისუნარიანობის” საფუძვლები და გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის მნიშვნელობა**

ორივე ფენომენის – ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის მიმართ მთავარი კითხვა შემდეგში მდგომარეობს: რა განაპირობებს მათ შედარებით სტაბილურ არსებობას?

ამ კითხვაზე პასხის გაცემა შესაძლებელია ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორიიდან გამომდინარე (Nelson and Winter, 1982). ამ თეორიის ძირითადი “ინსტრუმენტი” “რუტინის” (“routines”) ცნება, რომელშიც იგულისხმება ფირმების ქცევის ჩამოყალიბებული წესები და საშუალებები, რომლებიც არეგულირებს მათ (ქცევის) აღწარმოებას (Murrell, 1992a, pp. 35-53, 1992b, pp. 79-95).

სწორედ მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში მრავალი ათწლეულის განმავლობაში ჩამოყალიბებული რუტინა წარმოადგენს იმის ძირითად ფაქტორს, რაც



პოსტკომუნისტურ ქვეყნებში “აიძულებს” მეკვდარ საწარმოებს, იმუშაონ მბრძანებლური ეკონომიკის უკვე არარსებულ რეჟიმში, რის შედეგადაც, სპეციალური სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, მათი საწყოები ივსება არაკონკურენტუნარიანი პროდუქციით, ხოლო მისი რეალიზაციის პრინციპული შეუძლებლობის გამო გროვდება გადაუხდელი ხელფასი, პრაქტიკულად უიმედო ვალები სახელმწიფო ბიუჯეტისადმი, სოციალური ფონდებისადმი, ენერგეტიკული სექტორისადმი, სხვა საწარმოებისადმი. შედეგად წარმოიქმნება საწარმოების ურთიერთდავალიანების აბურღული ქსელი (მაგალითად, Åslund, 1995, pp. 207-214, 2002, 244-248, 328-330, 333-334, 2007a, pp. 132-133).

მბრძანებლურ ეკონომიკაში ჩამოყალიბებული ტრადიციების თანახმად, როცა საწარმო ვალებს აგროვებდა (მათ შორის გააზრებულადაც), მისი დირექტორი ზემდგომ სახელმწიფო ორგანოებში (კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ სტრუქტურებში, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, ფინანსთა სამინისტროში) აყენებდა მათი ჩამოწერის საკითხს და, როგორც წესი, მიზანს აღწევდა. აქედან გამომდინარე, ვალების ჩამოწერის პრაქტიკულად შეუზღუდავი (უფრო ზუსტად, გარანტირებული) შესაძლებლობის არსებობის პირობებში მათი დაგროვება საწარმოების ხელმძღვანელობისთვის საშიშროებად არ აღიქმებოდა. ვალების ჩამოწერის მოცემული მექანიზმი ის დამკვიდრებული რუტინაა, რომელიც, სამწუხაროდ, პერიოდულად პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში “საგადასახადო ამინსტიის” სხვადასხვა ვარიაციით ვლინდება (მაგალითად, , 2002; , 2002).

რაც შეეხება ზომბი-ეკონომიკის რუტინას, იგი ყალიბდება ფინანსური კრიზისების პირობებში, როცა მთავრობასა და ბანკებს შორის ურთიერთობა მყარდება არამომგებიანი ფირმების მხარდასაჭერად იმ მიზ-

ნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული ეკონომიკის მნიშვნელოვანი დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა. შედარებით ხანგრძლივი სტაგნაციის შემთხვევაში ეს ურთიერთობა გადაიზრდება იმ ფორმების ქცევის ჩამოყალიბებულ წესებად და საშუალებებად, რომლებიც არეგულირებენ ამ ქცევის აღწარმოებას, ანუ შესაბამის რუტინად. აქ მეტად მნიშვნელოვანია აღინიშნოს სტაგნაციის ხანგრძლივობა, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ შესაბამისმა რუტინამ ჩამოყალიბება მოასწროს.

ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ სწორედ ეს რუტინა უზრუნველყოფს ზომბი-ეკონომიკის არსებობას, რადგან, სხვა თანაბარ პირობებში, და კრიზისის მიუხედავად, არც ერთი მთავრობა არ მოისურვებს, როგორც მინიმუმ, უმუშევრობის გაზრდას, რომელიც აშკარად მოიმატებს ზომბი-ფორმების დახურვის შემთხვევაში, რადგან ჯანსაღი ფორმები ვერ მოახდენენ მომენტალურ რეაგირებას ზომბი-ფორმების არსებობის შეწყვეტაზე და ოპერატიული წესით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას (Caballero and Kashyap, 2002; Lindsey, 2002, p. 235).

შესაბამისი ქვეყნების განვითარებაზე ნეკროეკონომიკისა და ზომბი-ეკონომიკის უარყოფითი გავლენა აშკარაა. შესაბამისად, გამოსავლენი და ასამოქმედებელია ის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მათგან თავის დაღწევა.

ნეკროეკონომიკის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები ეკონომიკური ცვლილებების ზემოქმედებულ ეკონომიკურ თეორიაში ძვეს.

სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს პოსტკომუნისტური ეკონომიკის ფორმების ზემოთ მოყვანილი მეხუთე ჯგუფი – კერძო სექტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ კერძო ინვესტიციების ხარჯზეა შექმნილი. სახელმწიფომ ხელი უნ-

და შეუწყოს მის განმტკიცებასა და გაფართოებას, უნდა იზრუნოს იმ სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნისათვის, როცა კერძო ინვესტიციების ხარჯზე წარმოიქმნება ახალი ფირმები. გასათვალისწინებელია, რომ ფირმების ამ ჯგუფში ჩამოყალიბებული რუტინა თავისი ხასიათით საბაზროა და ამიტომ საზოგადოებას არავითარ ნეკროეკონომიკურ საშიშროებას არ შეუქმნის.

პოსტკომუნისტური სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი უნდა გახდეს პირველი და მესამე ჯგუფების არეალების შემცირება მეხუთე ჯგუფის ყოველმხრივი გაფართოების გზით. კერძოდ, იმის გამო, რომ ამ ფირმების წარმოქმნა ვიტაეკონომიკის პრინციპებით ხდება, მათმა შესაბამისმა რუტინამ, ასეთი ფირმის კონკურენტუნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, ასპარეზიდან მისი შედარებით უმტკივნეულოდ “წასვლა” უნდა უზრუნველყოს.

რაც შეეხება მეორე და მეოთხე ჯგუფებს, იმის მიუხედავად, ჯერ კიდევ ეკუთვნის თუ არა მოცემული კონკრეტული საწარმო სახელმწიფოს თუ უკვე პრივატიზებულია, იგი დაუყოვნებლივ მოითხოვს ახალი ინვესტიციების მოზიდვას საკუთრების შესაბამისი წილის გაყიდვის ან გრძელვადიანი პერიოდით სტრატეგიული ინვესტორისათვის მართვის უფლებით გადაცემის გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის ალბათობა გაიზრდება, რომ ვიტაეკონომიკა მეორე და მეოთხე ჯგუფებიდან, შესაბამისად, პირველი და მესამე ჯგუფების ნეკროეკონომიკად გადაიზრდება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პრივატიზაცია თავისთავად სულაც არ იწვევს ნეკროეკონომიკის ავტომატურ განადგურებას. შესაბამისად, პირველი ჯგუფის სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს მხოლოდ ერთი გამოსავალი აქვს: მოაწყოს ღია (მათ შორის საერთო-

შორისო) ტენდერი სტრატეგიული ინვესტორის გამოსავლენად, რომელსაც კონკრეტული მკვდარი ობიექტი ახალი წარმოების დასაწყებად გადაეცემა.

აბსოლუტურად არავითარი პერსპექტივა არ აქვს მესამე ჯგუფს – პრივატიზებულ ნეკროეკონომიკას. ამ ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უმეტესი ნაწილის ერთადერთი სწორი შეფასება ის არის, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ჯართი.

თეორიულად ცხადია, რომ ნეკროეკონომიკის განადგურების ქმედითი მექანიზმი უშუალოდაა დაკავშირებული გაკოტრების შესახებ კანონმდებლობასთან (მაგალითად, , 2004, . 542-551). მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში თუმცა არსებობს ოფიციალურად მიღებული კანონმდებლობა გაკოტრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, შესაბამისი კანონები პრაქტიკულად მკვდრადშობილია (Sánchez-Andrés and March-Poquet, 2002), ანუ *ნეკროკანონებია*, ვინაიდან საწარმოების ფაქტობრივი გაკოტრება, როგორც წესი, იურიდიულად არ ფორმდება. ასეთ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული პრაქტიკა, როცა გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედებას ხელს უშლიან, რაც მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ იგი ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური გარემოსადმი არ არის თავსებადი.

ის, თუ რა ხდება გაკოტრების შესახებ კანონთან დაკავშირებით, მაგალითად, საქართველოში, ნეკროეკონომიკის მნიშვნელოვანი ტვირთის (Papava and Tokmazishvili, 2007) მქონე ქვეყანაში, თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ბევრი ახალი ინსტიტუტი დასავლეთის მაგალითით იქმნება დასავლური ორიგინალების შეგნებული უშუალო იმიტაციის გზით ( , 1999). შედეგად, არერთი ასეთი ინსტიტუტი, რომელიც საკმაოდ ეფექტი-

ანია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში, აშკარად მიუღებელი რჩება პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნის ეკონომიკისათვის. ხშირ შემთხვევაში ინსტიტუტთა ბრმად განხორციელებული იმპორტი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტიკის საფუძველი ხდება, რადგან ფონდი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არცთუ იშვიათად იყო და რჩება ინსტიტუციური რეფორმებისადმი ნახქარვეი და იმავდროულად პრიმიტიული მიდგომის ინიციატორი, რის გამოც ეს ქვეყნები საბაზრო ეკონომიკის შექმნის პროცესში აშკარად ზარალდებიან (Stiglitz, 2001).

ნეკროეკონომიკის ფენომენის დაძლევა შესაძლებელია ისეთი ინსტიტუტების დამკვიდრებით (კაკულია ნ., 2010), რომლებიც დემოკრატიულ რეფორმებს (Polanyi, 2001) და ამით პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეფექტიანობას აამაღლებენ (Hare and Davis, 2006). ნეკროეკონომიკის ფენომენის დაძლევა შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პოსტკომუნისტური კაპიტალიზმიდან ქვეყნის გამოსვლის ინდიკატორი.

გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა ასევე ქმედითი ინსტრუმენტია ზომბი-ფირმების და ზომბი-ბანკების წინააღმდეგ ბრძოლაში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც არ არის საქმე იმაზე უკეთესად, ვიდრე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (Chobanov, 2008b; Claessens, Djankov and Mody, eds., 2001; Guard and Antony, eds., 2009; Metodiev, 2009b). კერძოდ, აშკარად შეინიშნება გაკოტრების ფაქტობრივი მდგომარეობის იურიდიული გაფორმების გართულების ტენდენცია (მაგალითად, Cussen, 2008). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ძალისხმევას არ იშურებს გაკოტრებისათვის საჭირო გარემოს გასაუმჯობესებლად და იმ კომპანიებს, რომლებმაც ერთხელ უკვე უშედეგოდ სცადეს გაკოტრება, ხელს უწყობს ამ პროცესის წარმატებით დასრულებაში (Ni u, 2009, p. 270).

## 15. მკვდარი ეკონომიკის რუტინის მატარებლები: *homo transformativus*-ი და *zombie economicus*-ი

ნეკროეკონომიკის აღმწარმოებელ რუტინას განაპირობებს იმ ადამიანის ქცევა, რომელიც მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ჩამოყალიბებული *homo soveticus*-იდან (ანუ სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანიდან)<sup>3</sup> (მაგალითად, , 1994, c. 250-253) საბაზრო სისტემისათვის დამახასიათებელ ადამიანის ტიპზე – *homo economicus*-ზე (ანუ ადამიანზე, რომლის განმსაზღვრელი მოტივებია ოჯახში მაქსიმალური სარგებლიანობის, ხოლო ფირმაში მაქსიმალური მოგების მიღება) გარდამავალ პროცესში იმყოფება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რომლებიც განიცადა ამ კატეგორიამ სმიტის შემდგომ ეპოქაში (მაგალითად, , 1998, c. 57-201; , 2000).

რუსი აკადემიკოსის, ლეონიდ აბალკინის თანახმად, “მთლიანად რუსული ეკონომიკური აზროვნების სკოლისათვის დამახასიათებელია ინდივიდუუმის საქმიანობისა და მოტივაციისადმი საერთო, სახალხო-სამეურნეო მიდგომის პრიმატის აღიარება, ინიციატივისა და სამეწარმეო ეთიკის განვითარების სოციალურ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი საწყისების შექმნა”, რის შედეგადაც გასაკვირი აღარ არის, რომ “ეკონომიკური ადამიანის” კონცეფციის უარყოფა და მისი საზოგადოებისაგან, საცხოვრებელი გარემოდან იზოლირებულად განხილვის მცდელობა შეიძლება რუსული მსოფლმხედველობის დამახასიათებელ ნიშნად მივიჩნიოთ”; თუ ნათქვამს იმასაც დავამატებთ, რომ “...ვ.

---

<sup>3</sup> *homo soveticus*-ი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც *homo etaticus*-ის ნაირსახეობა (Hanhinen, 2000, p. 224).

ი. ლენინი თავისი მოძღვრებით... რუსული ეკონომიკური აზროვნების ტრადიციებს განასახიერებდა” ( , 2000), საკითხის ამგვარად დაყენების საფუძველზე მოგვიწევს იმის აღიარება, რომ *homo soveticus*-ი რუსული მსოფლმხედველობის წიაღში ყალიბდებოდა. ამგვარი დებულების პირობითობას მოწმობს აშკარად დამტკიცებადი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რუსული საზოგადოების წარმოდგენა, როგორც წმინდა კოლექტივისტურის, კრებსითის და თემურის შესახებ, მითია და სხვა არაფერი ( , 2008, c. 18).

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის განმახორციელებელი ადამიანის ტიპი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის “მთავარი გმირი” ჩვენ მიერ კვალიფიცირებულია, როგორც *homo transformativus*-ი, ანუ ადამიანი, რომელმაც ვერ შეძლო მთლიანად გათავისუფლებულიყო სახელმწიფოს წინაშე შიშისგან და მის ხარჯზე არსებობის ჩვევისგან, თუმცა ამავდროულად იწყებს მოქმედებას მაქსიმალური სარგებლიანობისა და მოგების მიღებისათვის თავისი კერძო ინტერესებიდან გამომდინარე (Papava, 1996, pp. 251-267, 1999, pp. 266-92).

იური ლევადას “ადაპტირებული ადამიანის” (“*homo adaptivus*”) ( , 1999) კონცეფციის თანახმად, *homo transformativus*-ი ეს ისეთი ადამიანია, რომელიც თანდათან ეგუება საბაზრო ეკონომიკის იმანენტურ წესებს და თავადაც მონაწილეობს ამ წესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ბიზნესში *homo transformativus*-ი განსაკუთრებულ ფორმას იძენს, რისი ფესვებიც სათავეს მბრძანებლურ ეკონომიკაში იღებს.

მბრძანებლური ეკონომიკის პირობებშიც კი არ ყოფილა საბაზრო ეკონომიკა (უფრო ზუსტად კი მისი ცალკეული ელემენტები) ასი პროცენტით გამორიცხული. ის იმდენად ითრგუნებოდა სახელმწიფოს მიერ,

რომ მხოლოდ “ჩრდილოვან” სექტორში არსებობდა (მაგალითად, , 1989, cc. 57-83). მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში პრაქტიკულად ვერც ერთი დირექტორი (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ვერ უხელმძღვანელებდა საწარმოს არსებული რეჟიმის მიერ დადგენილი კანონები რომ არ დაერღვია, ასე რომ, ცალკეულ შემთხვევებში ხდებოდა საბაზრო ეკონომიკის ელემენტების გამოყენება და ამიტომ ეს საქმიანობა “ჩრდილოვან” სექტორს განეკუთვნებოდა, ხოლო ამ საწარმოების ხელმძღვანელებს “ტენევიკებს” უწოდებდნენ (მაგალითად, , 2003, . 184). ამის მიუხედავად, ასეთი დირექტორები მბრძანებლური ეკონომიკის პირობებში ვერ გახდნენ და პრინციპულად ვერ გახდებოდნენ საბაზრო ტიპის მეწარმეები, რადგან მათი ქცევა შეზღუდული იყო არსებული კომუნისტური რეჟიმის პოლიტიკური წნეხით. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საწარმოების ამ დირექტორებს, რომლებიც თავიანთ ქცევაში საბაზრო ტიპის ელემენტებს იყენებდნენ, ეწოდებოდათ არა “მეწარმენი”<sup>4</sup>, არამედ “საქმოსნები”.

მბრძანებლური ეკონომიკის დანგრევის შემდეგ “ყოფილმა” საქმოსნებმა უმეტეს შემთხვევაში შეძლეს სახელმწიფო სექტორში დირექტორების ადგილების შენარჩუნება (Åslund, 2007b, pp. 137-140), ხოლო პრივატიზაციის პროცესში ისარგებლეს შრომითი კოლექტივების უფლებებით და შესაბამისი საწარმოების ( , 1996) მესაკუთრენი გახდნენ, და იმის მიუხედავად, ქირობდნენ თუ არა მენეჯერებს, განსაკუთრებით პოსტ-პრივატიზაციული პერიოდის საწყის ეტაპზე, ცდილობდნენ თავიანთი “საქმოსნური აზროვნებით” ემართათ

---

<sup>4</sup> საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ახასიათებდნენ, როგორც “მეურნეობას მეწარმის გარეშე” ( , c. 119).



ამ საწარმოების საქმიანობა (მაგალითად, , 2003, . 127).

როგორც *homo transformativus*-ი ჯერ კიდევ არ არის *homo economicus*-ი, ისე ყოფილი საქმოსნები ვერ გადაიქცნენ მეწარმეებად. *homo transformativus*-ი სამეწარმეო სფეროში *პოსტსაქმოსნის* “ტიტულს” იძენს (ამ ფენომენის წმინდა საბჭოური წარმოშობის გამო ინგლისურშიც მიზანშეწონილია მისი რუსული ჟღერადობის შენარჩუნება – “Post-Delets”) (Papava and Khaduri, 1997).

*სწორედ პოსტსაქმოსნები დგანან ნეკროეკონომიკის “უკან” როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში, სწორედ ისინი არიან მბრძანებლური ეკონომიკის რუტინის შესაბამისი ქცევის “ინიციატორები”. ოსტსაქმოსნები, იყენებენ რა ძველ “კავშირებს”, აღწევენ სახელმწიფო სტრუქტურებში (როგორც პარლამენტში, ისე მთავრობაში) და თავიანთი გავლენით ცდილობენ პოლიტიკურად გაამართლონ და გაახანგრძლივონ ნეკროეკონომიკის არსებობა<sup>5</sup>.*

ზომბი-ეკონომიკის რუტინის გაგების გასაღებს იძლევა ჯეიმს ბიუკენენის საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რომლის თანახმადაც, პოლიტიკა განმარტებულია, როგორც ბაზრის განსაკუთრებული ნაირსახეობა ( , 1997). ფინანსური კრიზისების პირობებში ყალიბდება სწორედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც, ერთი მხრივ, მთავრობის უმაღლეს მიზნად აცხადებს ეკონომიკაში ჩარევას მისი კრიზისული სიტუაციიდან გამოყვანის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს იმ ეკონომიკური სუბიექტების კერძო ინტერესების რეალიზაციას, რომლებიც კრიზისის გამო ვაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდნენ.

---

<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ *homo transformativus*-ის მონაწილეობით მსგავსი სიტუაცია იქმნება სოციალურ სექტორშიც (იხ., მაგალითად, , 2008).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ზომბი-ეკონომიკის რუტინა ფინანსური კრიზისის პირობებში საბაზრო ეკონომიკის პროდუქტია. შესაბამისად, ამ რუტინის მატარებელია არა უბრალოდ *homo economicus*-ი, არამედ მისი ისეთი მუტანტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამო დეფორმირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებთან შეგუების, ადაპტირების პროცესში ჩამოყალიბდა. პირობითად *homo economicus*-ის ასეთ მუტანტს, ჩვენი აზრით, ყველაზე ზუსტად ახასიათებს ტერმინი *zombie economicus*-ი (Papava, 2009c, 2009e), რომელიც სწორედ ზომბი-ეკონომიკის რუტინის მატარებელია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომლის თანახმადაც, თანამედროვე გლობალური კრიზისის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ის, რომ ბოლო წლებში დასავლეთსა და განსაკუთრებით აშშ-ში *homo economicus*-ი *homo financecus*-მა ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელი ტერმინი პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს ეკუთვნის<sup>6</sup>, რომელიც თვლის, რომ *homo financecus*-ისათვის მთავარია სწარფი მოგების მიღება, რაც ყველაზე ადვილად ფინანსური ოპერაციების ჩატარებით მიიღწევა და არათუ პირდაპირი კავშირი, არამედ ცალკეულ შემთხვევებში რაიმე კავშირიც კი ეკონომიკის რეალურ სექტორთან შეიძლება არ ჰქონდეს. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კრიზისის პირობებში ხდება *homo financecus*-ის *zombie economicus*-ში გადაზრდა.

---

<sup>6</sup> პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის მიერ ეს მოსაზრება *homo financecus*-ის არსებობის შესახებ გაუქმდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში 2010 წლის 8 ივლისს შედგა.

*zombie economicus*-ისგან, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულია, *homo transformaticus*-ი იმით განსხვავდება, რომ, იმყოფება რა საბაზრო ეკონომიკასთან, როგორც ასეთთან, შეგუების, ადაპტაციის პროცესში, ჯერ არ წარმოადგენს ადამიანის ჩამოყალიბებულ ტიპს. იმის გამო, რომ *homo transformaticus*-ი ჩამოყალიბების პროცესშია, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია თანამედროვე კრიზისულ პირობებში *homo transformaticus*-ისგან *zombie economicus*-ის ჩამოყალიბება.

## 1.6. ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე

თანამედროვე გლობალური ფინანსური კრიზისის (მაგალითად, Cooper, 2008; Dent Jr., 2008; Krugman, 2008; Shiller, 2008; Steil, 2009; Subacchi and Monsarrat, eds., 2009; Zandi, 2009) პირობებში მრავალი ქვეყანა მიმართავს კერძო ფინანსური ინსტიტუტების, ზოგჯერ კი ეკონომიკის რეალური სექტორის ზოგიერთი ფირმისადმი ფინანსური დახმარების სპეციალურ სამთავრობო პროგრამებს ( , 2009, cc. 22-23), რაც ზომბი-ეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბების აშკარა საფრთხეს ქმნის. ეს საფრთხე შეიძლება სავსებით რეალური გახდეს, თუ ფინანსური კრიზისი დროში ისე გაჭიანურდება, რომ ამ ხნის განმავლობაში, აღნიშნული დახმარების განხორციელების გამო, ზომბი-ეკონომიკის რუტინა ჩამოყალიბებას მოასწრებს.

რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ზომბი-ეკონომიკის ფენომენის არსებობას გადაჭრით უარყოფდნენ (Bonner and Wiggin, 2003, p. 120), თუმცა, ბოლო ხანს, ფინანსური კრიზისის გამო, ზომბი-ფირმების გაჩენის საშიშროებას სულ უფრო ხშირად ახსენებენ (Coy, 2009; Krugman, 2009b; Pesek, 2008; Rajiva, 2009; Wong, 2008). და

მაინც, დღესაც შეინიშნება ამ პრობლემის უგულებელყოფის ფაქტები (Krugman, 2009a). ასეა თუ ისე, ფინანსური მხარდაჭერის სამთავრობო პროგრამას სრულიად სამართლიანად ეძლევა ზომბი-პროგრამის კვალიფიკაცია, ხოლო შეერთებული შტატების ხაზინას ზომბი-ეკონომიკის “დედის” სტატუსი ენიჭება (Kunstler, 2008). სამართლიანობა მოითხოვს ხაზი გავუსვათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საბანკო სექტორის ზომბირების მიმართულებით მოძრაობის პირველი ნიშნები ჯერ კიდევ თანამედროვე ფინანსური კრიზისის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე გამოვლინდა, როცა მთავრობამ სუბსიდირების გზით მოახდინა ბანკების მიერ გასაცემი იპოთეკური კრედიტების დაზღვევის სტიმულირება მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ საყოველთაოდ მიღებულ საბანკო მოთხოვნებს (Holmes, 1999). ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება, რომ თანამედროვე ფინანსურ კრიზისს საფუძვლად უდევს ამერიკელთა ფსიქოლოგიური სტიმულები, აიღონ ვალი, თუნდაც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ შეძლებენ მის დაფარვას ( , 2009, c. 44).

ყურადსაღებია, რომ ექსპერტები მიუთითებენ იმ განსხვავებაზე, რომელიც იაპონიასა და აშშ-ში ზომბი-ფირმების ფორმირების მექანიზმებისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, თუ იაპონიაში მთავრობის მხრიდან ზომბი-ფირმების დახმარებისათვის ზომბი-ბანკები გამოიყენება, აშშ-ში მთავრობა ზომბი-ფირმებს უშუალოდ, ბანკების გარეშე ეხმარება, თუმცა შედეგები მაინც ერთნაირია (Hoshi, 2009). ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აშშ-ში ზომბი-ფირმებისაგან დამოუკიდებლად ზომბი-ბანკებს მთავრობა ცალკე ეხმარება (Willie CB, 2008).

ზომბი-ეკონომიკის ჩამოყალიბების საშიშროება ასევე რეალური გახდა კანადისთვის (Poschmann, 2009) და ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც (Kelly, 2009; Schnittger, 2009).

პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში თანამედროვე ფინანსური კრიზისი ასევე ხელს უწყობს ისეთი სამთავრობო პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ემყარება გაკოტრების პირას მისული ბანკებისა და ფირმების ფინანსურ მხარდაჭერას (მაგალითად, , 2008 ).

გრძელვადიანი შეღავათიანი დაკრედიტებისა და ინვესტირების განხორციელების მიზნით გააქტიურდა სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტების (ბანკების) შექმნის პროექტები (მაგალითად, , 2009).

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ თეორიაში კარგა ხანია დამტკიცებულია და მსოფლიო გამოცდილებითაც დადასტურებულია ეკონომიკის სახელმწიფო შეღავათიანი დაკრედიტების დამღუპველი ხასიათი (მაგალითად, , 2000, cc. 22-28)<sup>7</sup>, განვითარებული ქვეყნებიც (რის შესახებაც ზემოთ ითქვა) და პოსტკომუნისტური ქვეყნებიც ფინანსური კრიზისის წინააღმდეგ ისევ და ისევ ამ ინსტრუმენტს მიმართავენ (Woods Jr., 2009). ეს კი, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს ზომბი-ეკონომიკის რუტინის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე ფინანსურმა კრიზისმა განსაკუთრებით აქტუალური გახადა “მოგების პრივატიზაციისა და ზარალის ნაციონალიზაციის” დამღუპველი პრინციპი ( , 2009, c. 10).

განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც ფინანსური კრიზისის პირობებში რეალურად შეექმნათ ეკონომიკის ზომბირების საფრთხე, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის ეს საფრთხე ნეკროეკონომიკის გამოც არის დამძიმებული ( - , 2009 , 2009 ). ფაქტობრივად, სრულიად უეჭველი

---

<sup>7</sup> არანაკლებ დამღუპველია “გაჭირვებულ” დარგთა სუბსიდირება ან სავაჭრო ბარიერების შექმნა (Talpo , Lobon , Nicolescu and Crăneac, 2009).

იყო, რომ, კრიზისის დადგომის შემთხვევაში რუსეთის (და არა მხოლოდ) მრავალი კომპანია ვალების გადახდას დამოუკიდებლად, სახელმწიფოს დაუხმარებლად ვერ შეძლებდა ( , 2009, c. 5).

ის, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ნეკროეკონომიკა თავს იჩენს სამრეწველო წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითებით, გასაკვირი არ არის, თუ გავისხენებთ ძირითადად სწორედ მრეწველობაში არსებული ნეკროეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხასიათს ( , 2008 , 2008 ). ამასთან, პოსტ-საქმოსნებიც განაგრძობენ ჩვეულ მოქმედებას, აძლევენ რა ქრთამს სახელმწიფო მოხელეებს, რათა მიიღონ შედარებით “იაფი” სახელმწიფო მხარდაჭერა ( , 2009, . 16).

როცა კრიზისული მოვლენები არ არსებობს, დიდი ზომის ქვეყნებში ნეკროეკონომიკის პრობლემა ნაკლებად მწვავედ იგრძნობა, ვიდრე შედარებით მცირე ქვეყნებში, ვინაიდან, ეკონომიკის მსხვილი მასშტაბის გამო, ნეკროსაწარმოებს, მთავრობის ხელშეწყობით, ერთმანეთთან კონკურენციის შესაძლებლობა აქვთ (მაგალითად, Schaffer and Kuznetsov, 2008), რაც ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიას ქმნის. მცირე ქვეყნებში კი ეს პრობლემა უფრო მწვავედ დგას, რადგან მრავალ ნეკროსაწარმოს ქვეყნის შიგნით რაიმე ანალოგი არ აქვს (მაგალითად, Papava and Tokmazishvili, 2007).

თავის მხრივ, დიდ და მცირე ქვეყნებს შორის ეს განსხვავება გავლენას ახდენს სახელმწიფოს ნეკროეკონომიკისადმი მხარდაჭერის პოლიტიკაზე. კერძოდ, შიგასახელმწიფოებრივი კონკურენციის გამო, ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზია მნიშვნელოვანწილად აბრკოლებს ამ ქვეყნებს ნეკროეკონომიკის დაძლევის საქმეში. მცირე ქვეყნებში კი ამა თუ იმ ნეკროსაწარმოების ანალოგების არარსებობა შეუძლებელს ხდის შიგასახელმწიფოებრივ კონკურენციას, რის შე-

დგადაც ამ ქვეყნებს მეტი სტიმული აქვთ ნეკროეკონომიკის დასაძლევად, თუმცა ეს სტიმულები ყოველთვის სათანადოდ არ გამოიყენება (Papava and Tokmazishvili, 2007).

ფინანსური კრიზისის პირობებში პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობებს ნეკროეკონომიკის არარსებობის ილუზიების შენარჩუნების სულ უფრო და უფრო ნაკლები შესაძლებლობები აქვთ და ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ აშკარაა მრეწველობის ზემოაღნიშნული კატასტროფული დაქვეითება.

იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ფინანსური კრიზისები ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ზომბი-ეკონომიკის რუტინის წარმოქმნისათვის, ანუ ეკონომიკის ზომბირებისათვის, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ქვეყნებში ფაქტობრივად *ნეკროეკონომიკის ზომბირება*ც ხდება, რაც ბევრად უარესია ვიდრე უბრალოდ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის ზომბირება. პრობლემა ის არის, რომ, იაპონიის გამოცდილების თანახმად, თუ ზომბი-ეკონომიკა გადამმუშავებელ მრეწველობას არ შეეხო, ნეკროეკონომიკა ძირითადად სწორედ ამ დარგში არსებობს, რის შედეგადაც ნეკროეკონომიკის ზომბირება ნიშნავს მოცემული, ისედაც მკვდარი დარგის ზომბირებასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეკროეკონომიკის ზომბირების პირველი სიმპტომები, მაგალითად, რუსეთში 1998 წლის აგვისტოს კრიზისის დროიდან გამოვლინდა (Lindsey, 2002, p. 210), რაც გახდა კიდევ პოსტკომუნისტური ზომბი-ეკონომიკის ფენომენის გაჩენის საბაბი (Lindsey, 2002, p. 211). თანამედროვე ფინანსურ კრიზისს კი, რომელსაც, გარდა იმისა, რომ ფესვები თავად რუსეთში აქვს გადგმული და აგრეთვე გლობალური ფინანსური კრიზისითაა განმტკიცებული, შეიძლება უფრო გაჭიანურებული ხასიათი ჰქონდეს, რასაც ბევრად უფრო სერიოზული შედეგები მოჰყვება.

უწინარეს ყოვლისა, ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ *homo transformaticus*-ისგან *homo economicus*-ის ჩამოყალიბების ნაცვლად მივიღოთ *zombie economicus*-ი, რაც კიდევ უფრო საეჭვოს გახდის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკურ მომავალს.



## თავი 2. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში

### 2.1. აზერბაიჯანი: “დახურული ეკონომიკის პარადოქსი”

დღეს პრაქტიკულად ყველა – როგორც ექსპერტები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები და, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (Badalova, 2009) – შეთანხმებულია იმაში, რომ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, აზერბაიჯანი ყველაზე უფრო დაცული შესვდა გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს (მაგალითად, Hübner and Jainzik, 2009, p. 12).

2008 წელს წლიურმა ინფლაციამ აზერბაიჯანში 20,8 პროცენტი (Hasanov, 2009a, p. 85), ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდამ 10,8 პროცენტი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (მაგალითად, , 2009). ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომლის თანახმადაც, ეს ეკონომიკური ზრდა აზერბაიჯანში სანავთობო სექტორის 7 პროცენტისანი, ხოლო არასანავთობო სექტორის 15,7 პროცენტისანი ზრდის შედეგი იყო (Hasanov, 2009a, p. 84).

იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რით იყო გამოწვეული აზერბაიჯანის სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან უკეთესი მზადყოფნა გლობალური ფინანსური კრიზისის წინაშე, აუცილებელია შემდეგი ორი ფაქტორის გათვალისწინება (მაგალითად, Badalova, 2009; Hübner and Jainzik, 2009, p. 12):

1. ფინანსური სექტორის განუვითარებლობა;
2. ნავთობისა და გაზის სექტორის დომინირება ეროვნულ ეკონომიკაში.

საყურადღებოა, რომ ფინანსური სექტორის განუვითარებლობა დამახასიათებელია ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის, თუმცა აზერბაიჯანში ის კიდევ უფრო განუვითარებელია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში, საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში (Hübner and Jainzik, 2009, p. 12). განუვითარებელი ფინანსური სექტორი იქცა აზერბაიჯანის უპირატესობად გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. იმავედროულად საყურადღებოა, რომ უცხოური ფინანსური ბაზრებიდან აღებული კრედიტები არ აღემატება აზერბაიჯანის საბანკო სექტორის ვალდებულებათა 25 პროცენტს (Masimli, 2009, p. 76). სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის, თუ რატომ აღმოჩნდა აზერბაიჯანის შედარებით განუვითარებელი საბანკო სექტორი საკმაოდ მდგრადი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გამოწვევების წინაშე (Hübner and Jainzik, 2009, p. 14).

ეკონომიკის დახურულობა, განსაკუთრებით ეკონომიკის მცირე მასშტაბების პირობებში, როგორც ცნობილია, ეკონომიკის განუვითარებისათვის აშკარად შემაფერსებელია. სულ სხვა შედეგი გვაქვს გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში, რადგანაც ამ შემთხვევაში მოცემული ქვეყანა უფრო მეტადაა დაზღვეული გლობალური ფინანსური და ეკონომიკური შოკებისაგან. აზერბაიჯანის შემთხვევაში სწორედ რომ *“დახურული ეკონომიკის პარადოქსს”* აქვს ადგილი.

აზერბაიჯანის ეკონომიკაში ნავთობისა და გაზის სექტორის დომინირება შემდეგ ინდიკატორებში გამოიხატება: 2008 წელს ამ სექტორის ხვედრი წილი მთლიან შიგა პროდუქტში 60 პროცენტს აღემატებოდა, საბიუჯეტო შემოსავლებში 60 პროცენტი იყო, ხოლო ქვეყნის ექსპორტში თითქმის 100 პროცენტს აღწევდა (Hübner and Jainzik, 2009, p. 13). ამან კი უზრუნველყო ქვეყანაში უცხოური ვალუტის რესურსების ზრდა. შედეგად, აზერბაიჯანის ეროვნული ბანკის უცხოური ვა-

ლუტის რეზერვები 2003-2008 წლებში 11-ჯერ გაიზარდა და 18 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რომელიც 6,7-ჯერ აღემატება ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალს ერთად აღებულს (Hasanov, 2009a, p. 85). ამასთან ერთად, აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის რეზერვები 11 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს (Hübner and Jainzik, 2009, p. 13). მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის გამო მსოფლიოში ნავთობზე ფასები დიდად დაეცა, ქვეყანაში არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები კრიზისის უარყოფით ზეგავლენას მნიშვნელოვნად ამცირებს. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ აზერბაიჯანში არსებული უცხოური ვალუტის რეზერვები საკმარისია იმპორტის დასაფინანსებლად ოცდამეორე თვის განმავლობაში (Hasanov, 2009a, p. 91). სწორედ რეზერვები ქმნის ქვეყნის ეკონომიკის “უსაფრთხოების ბალიშს”, რასაც კრიზისის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება (Hasanov, 2009a, p. 91).

2008 წლის ბოლოს აზერბაიჯანულ ბანკებს თითქმის 1 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის საგარეო ვალის გადახდა მოუწია (Hasanov, 2009a, p. 91). ამასთან ერთად, მსოფლიო ბაზრებზე საკრედიტო რესურსების შეზღუდულობის გამო, აზერბაიჯანულმა ბანკებმა შეამცირეს საკრედიტო პროგრამები, ხოლო ცალკეულმა ბანკებმა საერთოდ შეწყვიტეს აზერბაიჯანის საოჯახო მეურნეობებისა და ფირმების დაკრედიტება (Hübner and Jainzik, 2009, p. 14). ეროვნული ვალუტის სტაბილურობის შესანარჩუნებლად ქვეყნის ცენტრალურ ბანკს 2009 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში 1,2 მლრდ აშშ დოლარის დახარჯვა მოუწია (Hübner and Jainzik, 2009, p. 14).

როგორც მოსალოდნელი იყო, ნეკროეკონომიკური საწარმოები აზერბაიჯანში თავმოყრილია ფოლადისა და ალუმინის წარმოებაში, ქიმიურ მრეწველობაში (Hübner and Jainzik, 2009, p. 14). ოფიციალური სტატისტი-

კის თანახმად, 2009 წლის პირველი რვა თვის განმავლობაში მთლიანად სამრეწველო წარმოება, 2008 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 103,9 პროცენტს შეადგენდა, თუმცა იმავე პერიოდში არასანავთობო სექტორში წარმოებამ შესადარი პერიოდის მხოლოდ 94,3 პროცენტი შეადგინა (SSCA, 2009)<sup>8</sup>. 2009 წლის პირველი შვიდი თვის განმავლობაში, 2008 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წარმოების მოცულობა შემცირდა მეტალურგიაში 62 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში 53 პროცენტით, ავეჯის წარმოებაში 42,6 პროცენტით, ნავთობმოპოვებაში 10 პროცენტით, ხოლო რეზინისა და პლასტიკური მასალების მრეწველობაში 19 პროცენტით (Mikayilov, 2009, p. 109).

საბჭოთა პერიოდის აზერბაიჯანის ცნობილი სამრეწველო ცენტრი ქალაქი სუმგაითი დღეს უკვე ქვეყნის ნეკროეკონომიკის ცენტრადია ქცეული. ამ ქალაქში არსებულ საწარმოთა აბსოლუტური უმრავლესობა, მათ შორის ისეთი ცნობილი სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საწარმოები, როგორცაა ქიმიური კომბინატი “აზერქიმია”, მიღების მწარმოებელი ქარხანა “აზერბორუ” და “აზერალუმინი”, ან სრულადაა გაჩერებული, ან მხოლოდ მცირე დატვირთვით აგრძელებს მუშაობას (Abbasov, 2009). უკეთესი სიტუაცია არც ისეთ სამრეწველო საწარმოებშია (კერძოდ, ლითონსაგლინ ქარხნებში), რომლებიც აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მერე აშენდა (Abbasov, 2008).

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანის კომპანიათა უმრავლესობაში, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს სა-

---

<sup>8</sup> სამწუხაროდ, 2009 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული, აზერბაიჯანის ოფიციალური სტატისტიკა აღარ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა მრეწველობის არასანავთობო სექტორში.

კუთრებაში მყოფ საწარმოებში, მენეჯმენტის საბჭო-ური სისტემაა შენარჩუნებული (Hasanov, 2009b, pp. 89-91).

2009 წლის დასაწყისში აზერბაიჯანის მთავრობამ ანტიკრიზისულ ღონისძიებათა პაკეტი შეიმუშავა, რომელიც მოიცავს (Masimli, 2009, p. 81):

- პრევენციულ ღონისძიებებს სამომხმარებლო ბაზარზე ფასების ხელოვნური ზრდის საწინააღმდეგოდ;
- ეკონომიკის ანტიმონოპოლიური რეგულირების გაძლიერებას;
- ეკონომიკაში მთავრობის არალეგალური ჩარევის პრევენციას;
- საზღვარგარეთ განთავსებული უცხოური ვალუტის რეზერვების ქვეყანაში დაბრუნებას და მათ განთავსებას აზერბაიჯანის ყველაზე უფრო საიმედო ბანკებში და სამთავრობო კონტროლის დაწესებას ამ რესურსების ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტირებაზე;
- მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის სრულყოფას;
- საბიუჯეტო ფონდების ხარჯვაზე სამთავრობო კონტროლის გაძლიერებას;
- ექსპორტზე ორიენტირებულ საწარმოთა დახმარების გაფართოებას;
- მეწარმეთათვის შეღავათიანი სესხების ოდენობის ზრდას;
- სოფლის მეურნეობისათვის სამთავრობო მხარდაჭერის გაძლიერებას.

2009 წლის ზაფხულის დასაწყისში სპეციალური ცვლილებები იქნა მიღებული აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის შესახებ კანონში. შედეგად, ამ უკანასკნელს მიეცა უფლება, სახელმწიფო გარანტიის ქვეშ კრედიტები გამოუყოს კომერციულ ბანკებს, რათა მათ,

თავის მხრივ, შეძლონ დააკრედიტონ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ის საწარმოები (მაგალითად, “აზერალუმინი”), რომლებიც ფინანსურ სირთულეებში იმყოფება (Hübner, 2010, p. 7). როგორც ვხედავთ, ეკონომიკის ზომბირების კლასიკური სქემა აშკარად სახეზეა.

ნეკროეკონომიკის საკმაოდ ფართო სექტორის არსებობა, ისევე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ბიზნესის მხარდაჭერის პრაქტიკა, რომელიც ინტენსიურადაა გამოყენებული, როგორც ანტიკრიზისული ღონისძიება, იმის ნათელი ნიშანია, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკა (ნეკროეკონომიკის მოცვით) ზომბირების საფრთხის წინაშე რეალურად დგას (Papava, 2010c).

## 2.2. ალბანეთი: გლობალური კრიზისის ზომიერი ზეგავლენა

ალბანეთი შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში იმით გამოირჩევა, რომ ის კომუნისტურ წარსულში ყველაზე ჩაკეტილი ეკონომიკით ხასიათდებოდა, ხოლო სტატისტიკური ინფორმაცია საერთოდ გასაიდუმლოებულიც კი იყო, პოსტკომუნისტური პერიოდის სტატისტიკა კი დიდი სანდოობით, სამწუხაროდ, ნამდვილად არ გამოირჩევა (მაგალითად, ).

გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ალბანეთის ეკონომიკა საკმაოდ სტაბილურია, რადგან ამ ქვეყანაში არ მომხდარა ეკონომიკის ვარდნა. კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით, თუ 2008 წელს წლიური 3,4 პროცენტობიანი ინფლაციის პირობებში მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდამ 6,8 პროცენტი შეადგინა, 2009 წელს, სავარაუდოდ, წლიური 1,7 პროცენტობიანი ინფლაციის პირობებში, მთლიანი შიგა პროდუქტი 0,7 პროცენტით უნდა გაზრდილიყო, ხოლო 2010 წლის პროგნოზის თანახმად, მოსალოდნელია

წლიური 2,0 პროცენტის ინფლაცია და მთლიანი შიგა პროდუქტის 2,0 პროცენტის ზრდა (IMF, 2009b, p. 6). სწორედ ეს იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ალბანეთში არ არის კრიზისი და მხოლოდ ეკონომიკის ზრდის შენელებას აქვს ადგილი (IMF, 2009a). ეს კი, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ალბანეთზე ნაკლებად მოქმედებს ისეთი ტრადიციული რისკები, რომლებიც დამახასიათებელია დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის, როგორცაა შოკები ექსპორტზე, ფასებზე, ფულად გზავნილებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (IMF, 2009a, p. 1). ასე მაგალითად, ალბანეთის ექსპორტი მისი მთლიანი შიგა პროდუქტის მხოლოდ 25 პროცენტს შეადგენს და გლობალური ფინანსური კრიზისის გამო ექსპორტის შემცირება მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპზე (IMF, 2009a, p. 2), რადგანაც ეკონომიკური ზრდა ძირითადად შიგა მოთხოვნითაა განპირობებული (Tremonti, 2009b, p. 3).

თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმის პირობებში სტაბილურობას ინარჩუნებს ალბანეთის ეროვნული ვალუტა – ლეკი (Fullani, 2009).

მართალია, გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში ალბანეთის საბანკო სისტემიდან მოხდა დეპოზიტების გადინება (Tremonti, 2009a, p. 4), მაგრამ თავად ეს სისტემა, რომელიც უპირატესად უცხოელთა საკუთრებაშია, საკმაოდ სტაბილურია (IMF, 2009c).

საყურადღებოა, რომ პროგნოზები იმის შესახებ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი ნაკლებად დაზარალებდა ალბანეთის ეკონომიკას, ჯერ კიდევ 2008 წელს კეთდებოდა (Koci, 2008). თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ალბანელებს ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ “ფინანსური პირამიდებით” გამოწვეული 1996-1997 წლების ფინანსური კრიზისი (Jarvis, 2000), გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა მოსახლეობაში მაინც

გამოიწვია ფარული პანიკა. სერიოზული გართულებების თავიდან ასაცილებლად მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 700 ათასი ალბანური ლეკის (დაახლოებით 7 ათასი აშშ დოლარის) ოდენობით ანაბრების დახდევების შესახებ ( , 2008).

მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთში ადგილი არ აქვს ეკონომიკის ვარდნას, შედარებით რთულ მდგომარეობაშია მისი მრეწველობა. კერძოდ, 2009 წლის მესამე კვარტალში, 2008 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, წარმოების მოცულობა მრეწველობაში შემცირდა 4,5 პროცენტით (INSTAT, 2009). ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ კომუნისტურ ალბანეთში მრეწველობა თავიდან იქმნებოდა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბლოკის სხვა ქვეყნების, ხოლო გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან კი მხოლოდ ჩინეთის დახმარებით (Agarwal). შედეგად, ალბანეთის მრეწველობა გამოირჩეოდა დაბალი ეფექტიანობითა და სტრუქტურული დეფორმაციით (Zickel and Iwaskiw, eds., 1994), მაღალი რესურსტევადობითა და დაბალი მწარმოებლურობით ( , 2006). სხვა სიტყვებით, კომუნისტური რეჟიმის ნგრევის შედეგად, ისევე, როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ალბანეთშიც ჩამოყალიბდა ნეკროეკონომიკა.

თანამედროვე კრიზისის პირობებში ნეკროეკონომიკის საწარმოებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ და ამის თვალსაჩინო მაგალითია ალბანეთის მძიმე მრეწველობა, როცა, მაგალითად, მეტალურგიული საწარმო მხოლოდ იმიტომ აგრძელებს მუშაობას მოგების გარეშე, რომ მაკედონიის, კოსოვოს, მონტენეგროსა და სერბეთის კლიენტების წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს (RosInvest, 2008). იმის გათვალისწინებით, რომ ალბანეთის მთავრობამ ქვეყნის ეკონომიკის მხარდასაჭერად 300 მლნ აშშ დო-



ლარი გამოყო (RosInvest, 2008), აშკარაა, ამ ქვეყნის ნეკროეკონომიკა ზომბირების საფრთხის წინაშე დგას.

### 2.3. ბულგარეთი: აღმოსავლეთევროპული გამოცდილება

ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში 2008 წელს ბულგარეთშიც საკმაოდ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და თვლიდნენ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი დიდ საფრთხეს არ შეუქმნიდა ქვეყნის ეკონომიკას (მაგალითად, Hope and Troev, 2008; Leviev-Sawyer, 2008). იმ დროს გაკეთებული ეკონომიკური პროგნოზებიც განსაკუთრებული პესიმიზმით ნამდვილად არ ხასიათდებოდა (EC, 2008), თუმცა იყო გამოთქმული ისეთი მოსაზრებაც, რომ ბულგარეთის ეკონომიკას 2009-2010 წლებში შეიძლება სერიოზული სირთულეები შექმნოდა (Chobanov, 2008a).

სინამდვილეში კი, როგორც ეს 2009 წელს გამოიკვეთა, ბულგარეთის ეკონომიკაზე საკმაოდ მნიშვნელოვნად აისახა გლობალური ფინანსური კრიზისი (მაგალითად, Yordanova, 2010). კერძოდ, თუ 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდამ 6,0 პროცენტი შეადგინა, 2009 წლის ცხრა თვეში 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ადგილი აქვს 4,7 პროცენტის ვარდნას (NSI, 2009b). იმავედროულად, წლიურმა ინფლაციამ 2008 წელს 7,8 პროცენტი, ხოლო 2009 წელს 0,6 პროცენტი შეადგინა (NSI, 2009a). საყურადღებოა, რომ ბულგარული კომპანიების 95 პროცენტს 2009 წელს შეუმცირდა გაყიდვების მოცულობა (Novinite, 2009a).

როცა განვიხილავთ ბულგარეთის ეკონომიკურ მდგომარეობას, უნდა გვახსოვდეს, რომ ის (ისევე, როგორც რუმინეთი) ევროკავშირის წვრი გახდა მხოლოდ

2007 წელს, ამიტომ ბულგარეთი გლობალურ ფინანსურ კრიზისს ევროკავშირის ბაზარში სრულად ინტეგრირებული არ შეხვედრია (მაგალითად, Petrova, 2009, p. 7). თანაც ბულგარეთში მონეტარული პოლიტიკა შეზღუდულია სავალუტო ფარის მექანიზმით, როცა ბულგარეთის ეროვნული ვალუტა ლევი ევროზეა მიბმული (Gavras and Iorga, 2009, p. 9). ფიქსირებული გაცვლითი კურსის პოლიტიკა კი განსაკუთრებულ სირთულეებს სწორედ ფინანსური კრიზისის დროს ქმნის, თუმცა მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლა კრიზისის დროს კიდევ უფრო უარესია, რადგან ამ შემთხვევაში საგარეო ვალდებულებები, გამოხატული ეროვნულ ვალუტაში, მნიშვნელოვნად გაძვირდება (Åslund, 2009b, p. 3).

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბულგარეთის საბანკო სისტემის უდიდესი ნაწილი უცხოელების საკუთრებაშია, რომლებიც, მიუხედავად კრიზისისა, აგრძელებენ მათზე აღებული ვალდებულებების შესრულებას (Gavras and Iorga, 2009, p. 9).

ბულგარეთში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, განსაკუთრებით დაზარალდა მრეწველობა. კერძოდ, თუ 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი დამატებული ღირებულება მრეწველობაში გაიზარდა 3,0 პროცენტით, 2009 წლის ცხრა თვეში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან ის შემცირდა 8,3 პროცენტით (NSI, 2009b). მაგალითად, 2009 წლის პირველ კვარტალში ბულგარეთის ქიმიური მრეწველობის ხუთ უმსხვილეს კომპანიაში მთლიანი შემოსავალი 46,2 პროცენტით შემცირდა (Novinite, 2009b). ბულგარეთის მანქანათმშენებლობაში კი 2009 წლის განმავლობაში 29000-ით შემცირდა სამუშაო ადგილები (Dikov, 2009).

ბულგარეთის მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია იმ კომპანიების თანამშრომლებისათვის

ხელფასზე დანამატების მიცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომლებსაც კრიზისის გამო არანაკლებ ბოლო სამი თვის განმავლობაში შეუმცირდათ სამუშაო დრო. საყურადღებოა, რომ ასეთი მიდგომა მიმართულია გადასახადის გადამხდელთა ხარჯზე ბაზარზე ცუდი მენეჯმენტის მქონე კომპანიების შენარჩუნებისაკენ (Mladenova, 2009). აქვე ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ სხვა ტიპის ჩარევაც სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების დონის ხელოვნურად შენარჩუნებაში პოპულისტური ხასიათისაა, რაც, საბოლოო ჯამში, ამახინჯებს დასაქმების საბაზრო მექანიზმებს (Manolova, 2009b). თანაც ეკონომიკური კრიზისის დროს ბულგარეთში აშკარად გამოიკვეთა იმის ცდუნება, რომ სხვადასხვა ტიპის ბიზნესი ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსებულიყო (Metodiev, 2009a). ყოველივე ამას აძლიერებდა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მთავრობას აიძულებდა ეკონომიკურად ნაკლებად გამართლებული, მაგრამ აშკარად პოპულისტური ხსენებული ანტიკრიზისული ზომების შემოღებას (Ganev, 2009b). ეს კი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ეკონომიკის ზომბირების პროცესს.

სამწუხაროდ, ვერც საბანკო სისტემა აღმოჩნდა ზომბირების პროცესისაგან დაზღვეული (Manolova, 2009a).

საყურადღებოა, რომ ბულგარეთში არცთუ იშვიათად გამოიყენება სხვადასხვა საწარმოთათვის ბიუჯეტიდან სუბსიდირება, ისევე, როგორც პროტექციონიზმის სხვა ზომებიც, რაც კრიზისის პირობებში კიდევ უფრო მეტად პოპულარული ხდება (Kostadinova, 2009b).

ბულგარეთში, ისევე, როგორც არაერთ სხვა ქვეყანაში, პრაქტიკულად შეჩერებულია გაკოტრების კანონმდებლობის მოქმედება (Chobanov, 2008b; Ganev, 2009a), რომელიც, როგორც ასეთი, ისედაც ხასიათდება არასრულყოფილებით (Metodiev, 2009b). მიუხედავად ამისა,

ბულგარეთის უმსხვილესი ლითონდამამუშავებელი კომპანია – “კრემიკოვცი ად” (Kremikovtzi AD), რომელიც აშენებული იყო გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ლიკვიდაციას დაექვემდებარა (Stanchev, 2009), რაც ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ბულგარეთს აღარ ეყოლება ნეკროეკონომიკის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ეს კი შესაძლოა გახდეს ნეკროეკონომიკისაგან ბულგარეთის გათავისუფლების მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. იმავდროულად, ეს მოვლენა იმის დასტურიცაა, თუ რატომ განეკუთვნება ბულგარეთი “ლიდერი” ქვეყნების რიცხვს.

2009 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ბულგარეთის მთავრობა მზადაა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით საქართველოს გამოცდილება გაიზიაროს (Kostadinova, 2009a), თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოს მიერ დაშვებული არაერთი შეცდომა, რის შედეგადაც ლიბერალიზმი ხშირად რეფორმების უფრო ფასადი იყო ვიდრე შინაარსი (მაგალითად, პაპავა, 2008; Papava, 2009a). თანაც არც ახალი მთავრობის პროგრამა აღმოჩნდა შეცდომებისაგან დაზღვეული (Kostadinova, 2009c).

## 2.4. თურქეთი: ეკონომიკის ზომბირების გზის არჩევანი

გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა თურქეთის ეკონომიკაზე უკვე 2008 წლის მეოთხე კვარტალში გამოიკვეთა მკაფიოდ, როცა ამ პერიოდში მთლიანი შიგა პროდუქტის 6,5 პროცენტობიანი კლება დაფიქსირდა, რამაც 2008 წელს მთლიანი შიგა პროდუქტის მოკრძალებული 0,9 პროცენტობიანი ზრდა გამოიწვია. 2009 წლის პირველ სამ კვარტალში კი მთლი-

ანი შიგა პროდუქტის კლება უფრო შთამბეჭდავია და ის 8,4 პროცენტს შეადგენს (TSI, 2009). წლიური ინფლაციის მაჩვენებელი 2008 წელს დაფიქსირდა 10,4 პროცენტის დონეზე, ხოლო 2009 წლის შედეგებით 5,9 პროცენტი უნდა იყოს (CIA, 2010a).

მართალია, თურქეთი, ისევე, როგორც საბერძნეთი, შავი ზღვის რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, კომუნისტური წარსულით არ არის დამძიმებული და, ამდენად, ნეკროეკონომიკისგანაც თავისუფალია, მაგრამ თურქეთის სამრეწველო წარმოება მაინც მნიშვნელოვან კლებას განიცდის, რაც კრიზისის გამო უმთავრესად საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის შემცირებას უკავშირდება (Kutlay, 2008). 2009 წელს თურქეთში მოსალოდნელია სამრეწველო წარმოების კლება დაფიქსირდეს 9,8 პროცენტის დონეზე (CIA, 2010a).

თანამედროვე გლობალურ ფინანსურ კრიზისს თურქეთის საბანკო სისტემა საკმაოდ კომფორტულად შეხვდა, რაც 2001 წლის კრიზისის (მაგალითად, Koch and Chaudhary, 2001, pp. 467-486) შემდეგ ქვეყნის საფინანსო სექტორში გატარებული რეფორმებითა და ამ სექტორის გაძლიერებით აიხსნება (Gavras and Iorga, 2009, p. 11). საყურადღებოა, რომ 2001 წლის კრიზისის შემდეგ თურქეთში ჩატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა აჩვენა, რომ მას შესწევს უნარი, გაითვალისწინოს და გამოასწოროს ადრე დაშვებული შეცდომები, რის საფუძველზეც გამოითქმება იმედი იმის შესახებ, რომ მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი თურქეთს მისცემს სტიმულს ეკონომიკის შემდგომი რეფორმირებისათვის, რომ შესაძლო მომავალ კრიზისს ის კიდევ უფრო მომზადებული შეხვდება (Okonjo-Iweala, 2009, p. 11).

თურქეთის მთავრობამ შეიმუშავა ანტიკრიზისული ღონისძიებები, რომელიც ეფუძნება მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის გაღრმავებას (Kutlay, 2009). კერძოდ, თურქეთის მთავრობამ 2009 წლის მარტში შეიმუშავა

3,2 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების პაკეტი, რომელიც უმთავრესად აგებულია საგადასახადო განაკვეთების შემცირებაზე (Djankov, 2009). ხაზგასასმელია, რომ თურქეთის მთავრობა, ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიას ოთხ ნაწილად ყოფს (პირველი ზონა ყველაზე განვითარებულია, ხოლო მეოთხე – ყველაზე განუვითარებელი) და 20 პროცენტთან კორპორაციულ გადასახადს ყველაზე განვითარებულ რეგიონში ანახევრებს, მეორე, მესამე და მეოთხე ზონაში, შესაბამისად, 8, 4 და 2 პროცენტამდე დაჰყავს (TZ, 2009). ასევე გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ენერგეტიკული, საავტომობილო მრეწველობის, სამთომომპოვებელი მრეწველობისა და სხვა დიდი პროექტების სამთავრობო მხარდაჭერა (TZ, 2009).

თურქეთში ეკონომიკის რეალური სექტორის გასაძლიერებლად კრიზისის პერიოდში საკრედიტო გარანტიების სქემა გამოიყენება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცირე და საშუალო საწარმოებს (Babacan, 2009, p. 16). საყურადღებოა, რომ თურქეთის მთავრობა ამ სისტემის შენარჩუნებას აპირებს 2010-2012 წლებში, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოები სახაზინო გარანტიებს მიიღებენ საბანკო კრედიტების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად (USPO, 2009, p. 19). თურქეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება პრაქტიკულად იმეორებს იაპონიის ეკონომიკის ზომბირების ზემოთ განხილულ გზას.

კრიზისის პერიოდში თურქეთის მთავრობა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ კრიზისის სოციალური და ეკონომიკური ეფექტების შესამცირებლად არგადახდილი გადასახადები რესტრუქტურისაციას დაექვემდებაროს (USPO, 2009, p. 16). თუკი აქვე იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ თურქეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს გაკოტრების გადავადებას (მაგალითად,

Kosklu, 2009), აშკარაა, არგადახდილი გადასახადების რესტრუქტურის მიზანმიმართული მექანიზმის უმთავრესი დანიშნულება რეალურად გააოტრებული საწარმოების ბაზარზე დროებით მაინც შენარჩუნებაა. ეს კი ასევე უწყობს ხელს თურქეთის ეკონომიკის შესაძლო ზომბირებას.

დასასრულ, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თურქეთის ცენტრალური ბანკის მმართველის განცხადებით, კრიზისის შემდგომი ეკონომიკური აღმასვლა თურქეთში უფრო თანდათანობითი და შენელებული იქნება ვიდრე ეს წინა 1994 და 2001 წლების კრიზისების შემდეგ იყო (Yilmaz, 2009, p. 2).

## **2.5. მოლდავეთი: ეკონომიკური კრიზისი და პოლიტიკური სირთულეები**

მოლდავეთისათვის, ევროპის ამ ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყნისათვის (მაგალითად, Chandy, Gertz and Linn, 2009, p. 7), 2009 წელი საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგანაც გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენის ფონზე იქ უმწვავესი პოლიტიკური კრიზისი განვითარდა (მაგალითად, Lamond, 2009; O'Neill, 2009).

თუ 2008 წლის განმავლობაში მთავრობა პრაქტიკულად თვალს ხუჭავდა ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ კრიზისზე, თანაც მისი ქმედებები შორდებოდა მისსავე განცხადებებს (Vasilescu, 2009, p. 5), 2009 წელს, პოლიტიკური კრიზისის გამწვავეების ფონზე, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის განვითარება მოლდავეთში უკვე აღარაგისში არ იწვევს ეჭვს (Cujba, 2009, p. 2).

საყურადღებოა, რომ მოლდავეთში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი იმითაც არის დამძიმებული, რომ აღრე დაწყებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური

რეფორმები, სამწუხაროდ, დასრულებული არ არის (Schrader and Jones, 2009).

2008 წელს, გარკვეული სირთულეების (მაგალითად, გვაღვა) მიუხედავად, მოლდავეთის ეკონომიკისათვის საკმაო სტაბილურობა იყო დამახასიათებელი (Golovataya, 2009, p. 263). კერძოდ, 2008 წელს მთლიანი შიგა პროდუქტი, 2007 წელთან შედარებით, 7,8 პროცენტით გაიზარდა. სიტუაცია კარდინალურად 2009 წელს შეიცვალა, როცა იანვარ-სექტემბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტი 7,7 პროცენტით შემცირდა (NBSTRM, 2009c). ამასთან, თუ 2008 წელს წლიურმა ინფლაციამ 7,3 პროცენტი შეადგინა, 2009 წელს ის მხოლოდ 0,4 პროცენტით (NBSTRM, 2009a).

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფულად გზავნილებს მოლდავეთის მოსახლეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ადვილი გასაგები იქნება, რომ 2009 წელს მოხმარების მკვეთრი დაცემა, უწინარეს ყოვლისა, ამ გზავნილების ერთი მესამედით შემცირებამ გამოიწვია (Vasilescu, 2009, p. 2). გლობალური კრიზისის გამო მოლდაველი შრომითი მიგრანტების დიდი ნაწილი (განსაკუთრებით რუსეთიდან და იტალიიდან) სამშობლოში დაბრუნდა, რამაც უმუშევრობის პრობლემა კიდევ უფრო გაამძაფრა (Expert Group, 2009, p. 11).

მოლდავეთის მრეწველობისათვის არც 2008 წელი იყო განსაკუთრებით წარმატებული, რადგან სამრეწველო წარმოების ინდექსმა 2007 წელთან შედარებით მხოლოდ 100,7 პროცენტი შეადგინა. 2009 წელი კი ბევრად უარესი აღმოჩნდა, რადგანაც 11 თვეში ეს ინდექსი უკვე 76,8 პროცენტი გახდა (NBSTRM, 2009b).

მოლდავეთის მრეწველობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მისი უდიდესი წილი, კერძოდ 43 პროცენტზე მეტი, კვებისა და ალკოჰოლური სასმელების მრეწველობაზე მოდის (Golovataya, 2009, p. 269). შედარე-



ბისათვის, მაგალითად, ქიმიური მრეწველობის და მეტალურგიის ხვედრი წილი მოლდავეთის მთელ მრეწველობაში არის შესაბამისად მხოლოდ 1,3 პროცენტი და 0,5 პროცენტი (Golovataya, 2009, p. 269). თანაც კვებისა და ალკოჰოლური სასმელების მრეწველობის უმთავრესი პრობლემა ექსპორტის შეზღუდვით გამოწვეული სირთულეებია, რაც დაკავშირებულია არა მარტო გლობალურ ფინანსურ კრიზისთან, არამედ რუსეთის ბაზარზე მოლდავეური ალკოჰოლური პროდუქციის შეტანის აკრძალვაზეც. იმავედროულად, საბჭოთა პერიოდში შექმნილი ქიმიური მრეწველობისა და მეტალურგიის უმთავრესი პრობლემა კი ნეკროეკონომიკაა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ რადგანაც მოლდავეთის ეკონომიკაში ბოლო ოცი წლის განმავლობაში კრიზისების სერია განვითარდა, ამიტომ კომპანიების დაახლოებით 30 პროცენტისათვის თანამედროვე კრიზისს დიდი ზეგავლენა არ აქვს, რადგანაც ამ კომპანიების წარმომადგენლები თვლიან, რომ ისინი ისედაც მუდმივ კრიზისში იმყოფებიან (Expert Group, 2009, pp. 54-55). მუდმივ კრიზისში ყოფნა კი ამ საწარმოებში ზომბირების რუტინის ფორმირებას უწყობს ხელს, ხოლო თუ ეს საწარმოები ნეკროეკონომიკურიცაა, მაშინ ზომბირების რუტინის ჩამოყალიბება ნეკროეკონომიკის რუტინის ბაზაზე ხდება, რაც კიდევ უფრო უარესია.

თანამედროვე კრიზისის პირობებში მოლდავეური კომპანიების 17,6 პროცენტმა (ესენი ძირითადად საცალო სავაჭრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო კომპანიებია) მომწოდებლების ვალები დააგროვა, ხოლო 23,0 პროცენტმა (ეს ძირითადად მომსახურების სფეროს კომპანიებია) კი – ვალები კლიენტებისაგან (Expert Group, 2009, p. 59). ასეთ ვითარებაში კომპანიების დიდი ნაწილისათვის სასურველია გადასახადებისა და საბანკო კრედიტზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი შემცირება, ხოლო კომპანიების

შედარებით მცირე ნაწილისათვის მნიშვნელობა აქვს ბაზარზე სამართლიან კონკურენციას, კორუფციისა და სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის შემცირებას (Expert Group, 2009, p. 62).

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მიერ მიზანმიმართული და ქმედითი ანტიკრიზისული პროგრამის მიღებასა და ამოქმედებას. რადგან 2009 წლის განმავლობაში მოლდავეთმა, შიდასაპარლამენტო დაპირისპირების გამო, ვერ მოახერხა პრეზიდენტის არჩევა (მოლდავეთის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს ირჩევს პალამენტი) ეს მთავრობისათვის არასტაბილურ პოლიტიკურ გარემოს ქმნის. იმავდროულად, მთავრობისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, იმდენად გაიმყაროს პოზიცია, რომ 2010 წლის შესაძლო ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში მოახერხოს გამარჯვების მოპოვება (Aris, 2009e, p. 8). ეს შესაძლოა მასტიმულირებელიც კი გახდეს მთავრობისათვის ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად, თუმცა, იმავდროულად, პოპულიზმის საფრთხესაც ზრდის, რაც აისახა კიდევ მთავრობის წევრებს შორის უთანხმოებაზე ანტიკრიზისულ პროგრამასთან დაკავშირებით (OMEGA, 2009).

## 2.6. რუმინეთი: გაკოტრების მისაბაძი პრაქტიკა

რუმინეთი, ისევე, როგორც ბულგარეთი, ევროკავშირის წვრი გახდა მხოლოდ 2007 წელს, ამიტომ ისინი გლობალურ ფინანსურ კრიზისს ევროკავშირის ბაზარში სრულად ინტეგრირებულნი არ შეხვედრიან (მაგალითად, Petrova, 2009, p. 7).

რადგანაც რუმინეთში მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი უცხოური კაპიტალი, რომელთა სათავე ოფისებს გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყებისთა-

ნავე საკმაო სირთულეები შეექმნა, უკვე 2008 წლის შემოდგომაზე ამ კრიზისის უარყოფითი ზეგავლენის პირველი ნიშნები რუმინეთის ეკონომიკასაც დაეტყო (Whitlock, 2008). საყურადღებოა, რომ, მაშინ, როცა თანამედროვე ფინანსური კრიზისი მხოლოდ აშშ-ში იპოთეკური კრედიტის კრიზისის სახით ჩამოყალიბდა და გლობალური ხასიათი ჯერ კიდევ არ ჰქონდა შექმნილი, უკვე კეთდებოდა გაფრთხილება ამ კრიზისის რუმინეთის ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენის შესაძლებლობის შესახებ (Ionete, 2008, pp. 14-20; Popescu, Rizescu and Du , 2008, pp. 113-116).

მართალია, 2008 წელს რუმინეთის ეკონომიკის განვითარების წლიურ მაჩვენებლებზე გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა არც კი იყო შესამჩნევი, თუმცა საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში კრიზისით გამოწვეული გარკვეული პრობლემები მაინც თვალნათელი იყო (Glodeanu and Glodeanu, 2009, pp. 273-276). 2009 წელს კი რუმინეთის ეკონომიკაში შექმნილი სირთულეები უკვე აშკარად გამოიკვეთა (მაგალითად, Caragea, 2009), რაც გარდაუვალი იყო 2008 წლის მეოთხე კვარტლის ეკონომიკური შედეგებიდან გამომდინარე, როცა, მაგალითად, მრეწველობა შემცირდა 7,7 პროცენტით (Ionete, 2009, p. 11). თუ 2008 წელს რუმინეთის მთლიანი შიგა პროდუქტი 2007 წელთან შედარებით 7,1 პროცენტით გაზარდა, 2009 წლის ცხრა თვეში ის უკვე 7,4 პროცენტით შემცირდა (NIS, 2009b, p. 146). ამასთან, თუ 2008 წელს წლიურმა ინფლაციამ 6,3 პროცენტი შეადგინა (NIS, 2008, p. 125), 2009 წლის 11 თვეში ის 4,7 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა (NIS, 2009b, p. 133).

2009 წელს განსაკუთრებული სირთულეები რუმინეთის სამთო მოპოვებასა და მის გადაამუშავებაში გამოიკვეთა. კერძოდ, 2009 წლის ნოემბერში 2008 წლის ნოემბერთან შედარებით მრეწველობის ამ დარგში წარმოების დონე 10,9 პროცენტით შემცირდა, მაშინ, როცა

იმავე პერიოდში მთლიანად მრეწველობა რუმინეთში 4,4 პროცენტით გაიზარდა (NIS, 2009a, pp. 5-7). იმავე პერიოდში წარმოების დონის მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა მძიმე მრეწველობის ზოგიერთ ქვედარგშიც (NIS, 2009a, p. 6).

მართალია კომუნისტური რეჟიმის რღვევის შემდეგ რუმინეთის ეკონომიკაც იყო ნეკროეკონომიკის ფენომენით დამძიმებული, მაგრამ სწორედ იმიტომაც არის ის “ლიდერ” სახელმწიფოთა რიგებში, რომ მისი ქმედებები ამ ფენომენისაგან გათავისუფლების მიმართულებით ძალზე შთამბეჭდავია. კერძოდ, 2003-2005 წლებში გაკოტრებულ კომპანიათა რაოდენობა აღმოსავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია (Cîrciumaru, Simini a and Begicevic, 2007, pp. 148-154).

თანამედროვე კრიზისის პირობებში რუმინეთის მცირე და საშუალო ზომის ათი კერძო საწარმოდან შვიდი ფინანსურ პრობლემებშია, ხოლო ამ საწარმოების 15 პროცენტი კი გაკოტრების პირასაა, რის გამოც რუმინეთის მთავრობა წნეხის ქვეშაა, რათა ფინანსური დახმარება აღმოუჩინოს ამ მდგომარეობაში მყოფ ფირმებს (Chivu, 2009).

საყურადღებოა, რომ 2010 წლის დასწყისში რუმინეთის მთავრობამ “რუმინეთში ფორდის კომპანიის” მიერ ევროპის საინვესტიციო ბანკიდან 400 მლნ ევროს ოდენობის სესხის 80 პროცენტზე სახელმწიფო გარანტია გასცა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა ემილ ბოკმა ფინანსთა მინისტრს დაავალა მოამზადოს სპეციალური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდის სახელმწიფო გარანტიების გაცემას სხვა სფეროებშიც, მათ შორის, საწარმოებისათვისაც (Boc, 2010). თუკი აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში რუმინეთის საბანკო სისტემაში დიდი სირთულეებია შექმნილი (Nistor, Ulici and Pintea, 2009,

pp. 160-167), მთავრობის ხსენებული ინიციატივის განხორციელება შეიძლება პირდაპირი გზა გახდეს ეკონომიკის ზომბირების პროცესის დასაწყებად.

## 2.7. რუსეთი: კრიზისი ნეკროეკონომიკის კლასიკურ ქვეყანაში<sup>9</sup>

1998 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, ათი წლის განმავლობაში რუსეთის ეკონომიკა შთამბეჭდავი ტემპებით ვითარდებოდა, როცა ამ პერიოდში რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი თითქმის გაორმაგდა ( , 2009, c. 54). რუსეთის ეკონომიკა სულ უფრო მომხიბვლელი იყო უცხოური კაპიტალისათვის, ხოლო ნავთობზე მსოფლიო ფასების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში რუსეთის საერთაშორისო რეზერვებმა თითქმის 600 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია და ამ მაჩვენებლით ის მსოფლიოში მხოლოდ ჩინეთსა და იაპონიას ჩამორჩებოდა ( , 2009, c. 54).

რუსეთის ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა ჯერ კიდევ 2008 წლის ზაფხულში გახდა შესამჩნევი. ეს იმით აიხსნება, რომ რუსეთის საფონდო ბაზარზე ბრუნვაში მყოფი აქტივების თითქმის ნახევარი არარეზიდენტებზე (რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ამერიკელ არარეზიდენტებს ეკავა) მოდიოდა, რომლებმაც გლობალური ფინანსური კრიზისის გამო უკვე 2008 წლის ზაფხულში დაიწყეს თავისი კაპიტალის გატანა რუსეთიდან, რამაც რუსული ფასიანი ქაღალდების ღირებულება მკვეთრად და-

<sup>9</sup> ამ პარაგრაფის თანაავტორია თამარ თაფლაძე (პაპავა და თაფლაძე, 2010).

აგდო ( , 2009, cc. 32-33). ამას დაემატა საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ვარდნა ნავთობზე, გაზსა და ლითონებზე, რაც აისახა რუსეთის მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპების შემცირებასა და უმუშევრობის ზრდაზე ( , 2009, c. 33).

თუ 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტი რუსეთში 5,6 პროცენტით გაიზარდა (FSSS, 2009c), 2008 წლის მეოთხე კვარტალში, 2007 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა უმნიშვნელო იყო და მხოლოდ 1,2 პროცენტი შეადგინა (FSSS, 2009d). 2009 წელს კი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა: პირველ კვარტალში, 2008 წლის კვარტალთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტი უკვე 9,8 პროცენტით შემცირდა და ეს ვითარება 2009 წლის არც მეორე და მესამე კვარტალებში არ შეცვლილა: მეორე კვარტალში კლებამ 10,9 პროცენტი, ხოლო მესამე კვარტალში 9,9 პროცენტი შეადგინა (FSSS, 2009d). საყურადღებოა, რომ ინფლაცია 2008 წელს რუსეთში 13,3 პროცენტის, ხოლო 2009 წლის ექვს თვეში 7,4 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა (FSSS, 2009a).

კიდევ უფრო მძიმე ვითარებაა შექმნილი რუსეთის მრეწველობაში. კერძოდ, თუ 2008 წელს სამრეწველო წარმოების ინდექსმა 102,1 პროცენტი შეადგინა, 2009 წლის პირველ ნახევარში 85,2 პროცენტამდე შემცირდა (FSSS, 2009b).

იმის გათვალისწინებით, რომ ნეკროეკონომიკური საწარმოების უდიდესი ნაწილი მრეწველობაშია თავმოყრილი, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეკონომიკური კრიზისის პირობებში წარმოების მოცულობის კლება სწორედაც რომ მრეწველობაშია ყველაზე უფრო თვალსაჩინო. აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნეკროეკონომიკისათვის დამახასიათებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ

სწორედ სამრეწველო წარმოებამ განიცადა მნიშვნელოვანი კლება ( , 2008 , 2008 ).

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ არაკრიზისულ ვითარებაში მსხვილმასშტაბიანი ბაზრის მქონე ქვეყნებში ნეკროეკონომიკის არსებობა ნაკლებად შეიგრძნობა, რადგანაც ქვეყნის შიგნით არსებული კონკურენცია ქმნის იმის ილუზიას, თითქოს ამ ქვეყნის ეკონომიკა არ არის ნეკროეკონომიკით დამძიმებული. ამის საუკეთესო მაგალითი კი სწორედ რუსეთია (მაგალითად, Schaffer and Kuznetsov, 2008, pp. 12-34).

საყურადღებოა, რომ რუსეთში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის განმსაზღვრელი არა მარტო და არა იმდენად საგარეო ფაქტორებია, არამედ ის დაგროვებული გადაუწყვეტელი პრობლემები, რომლებიც დამახასიათებელია რუსეთის მრეწველობისა და მთლიანად ეკონომიკისათვის (Åslund, 2008; , 2008 ). სამართლიანად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რუსეთში კრიზისი ეროვნულ ნიადაგზე განვითარდა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი მხოლოდ დაემატა რუსეთში ჩამოყალიბებულ ფინანსურ, ტექნიკურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ კრიზისს ( ვ , 2009, cc. 81-82). ამასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ეკონომიკის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობას ( , 2009, c. 82), რის გამოც რუსეთის მრეწველობის საექსპორტო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი ენერგორესურსების (და სხვა დაბალტექნოლოგიური საქონლის) ექსპორტს უჭირავს (Connolly, 2008, pp. 586-603). თანაც რუსეთის მთავრობის მიერ ბოლო წლებში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკაც სწორედ რომ ამ ტიპის ექსპორტის სტიმულირებას ეფუძნებოდა ( , 2009, cc. 78-79).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ კრიზისამდე ჰქონდა შემუ-

შავებული სპეციალური პროგრამა მაღალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის განხორციელების შესახებ (Connolly, 2008, pp. 586-587), თუმცა განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ამ პროგრამის განხორციელება შეაფერხა ( , 2009, c. 56).

აშკარაა, რუსულ კომპანიებს სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე საკუთარი ძალებით არ ძალუძთ დაროვილი ვალების გადახდა ( , 2009, c. 5).

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა მსხვილმასშტაბიანი ანტიკრიზისული პროგრამა, რომელიც ეფუძნება ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერას მნიშვნელოვანი ფისკალური სტიმულების გამოყენების გზით (Gavras, 2010, p. 15). კერძოდ, ამ ღონისძიებათა საერთო ღირებულებამ კრიზისის დაწყების პირველ თვეებში რუსეთის მთლიანი შიგა პროდუქტის 13 პროცენტი შეადგინა ( , 2009, c. 57).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ, სწორედ ავტორიტარული რეჟიმის გამო, რუსეთის მთავრობამ შეძლო ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ კრიზისზე სწრაფი რეაგირება, რაც გამოიხატა მის მზადყოფნაში, ფული სწრაფად გადაესროლა შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად,<sup>10</sup> ვიდრე დასავლური დემოკრატიის პროცესს ოდესმე შეუძლია ეს წარმოიდგინოს (Markesinis, 2009, p. 23). თანაც, კრიზისის მიუხედავად, რუსეთის მთავრობა არ ერიდება დამატებითი ხარჯების გაწევას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად (Markesinis, 2009, pp. 23-24).

---

<sup>10</sup> მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობას მაინც აკრიტიკებენ, რომ მან დაგვიანებით მოახდინა კრიზისზე რეაგირება ( - , 2009, .9).



რუსეთის ანტიკრიზისული პოლიტიკა სამი მიმართულებით ტარდება: ფინანსური სექტორის ლიკვიდურობის ამაღლება, მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერა და წამყვანი კომპანიების მხარდაჭერა ( , 2009, c. 35).

გადასახადების განაკვეთის შემცირებასთან ერთად (მაგალითად, მოგების გადასახადი 24 პროცენტიდან შემცირდა 20 პროცენტამდე, ხოლო რეგიონებს მიეცათ უფლება, მცირე ბიზნესზე გადასახადი 15 პროცენტიდან შემცირდეს 5 პროცენტამდე), რუსეთის მთავრობამ დაიწყო საპენსიო ფონდის, საბანკო კერძიტებზე გარანტიებისა და მსხვილი კომპანიების პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა ( , 2009, cc. 34-35).

კრიზისის გამო საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა რუსეთის საბანკო სისტემა და, რომ არა რუსეთის ცენტრალური ბანკისა და მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბანკო სისტემის გადარჩენისათვის გაცემული ფინანსური დახმარება (ნაციონალიზაცია, საგარეო ვალების დაფარვა, საბანკო კრედიტების სამთავრობო გარანტიებით უზრუნველყოფა), სიტუაცია ბევრად უფრო მძიმე იქნებოდა (მაგალითად, Aris, 2009d, p. 13). ნიშანდობლივია, რომ ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრების გადანაწილება ქრთამის საშუალებით ხორციელდება, რის საფუძველსაც ამ დეფიციტურ სახსრებზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული დაბალი ფასი წარმოადგენს ( , 2009, c. 16).

საყურადღებოა, რომ რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა ე.წ. “სისტემაშემქმნელი” საწარმოების ნუსხა, რომელშიც შევიდა 300-მდე მსხვილი კომპანია, რომელთაც დახმარება გაეწევა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე სახელმწიფო ბანკების მხრიდანაც ( - , 2009, c. 34). მსგავსი ნუსხა რუსეთის რეგიონებმაც

შეადგინეს რეგიონულ დონეზე შესაბამისი საწარმოების მხარდაჭერის მიზნით ( , 2009, c. 34).

რეალური სექტორის მხარდაჭერის მიზნით რუსეთის მთავრობამ ეკონომიკის ზომბირების პროცესისათვის დამახასიათებელი ღონისძიებების გატარება დაიწყო. კერძოდ, სახელმწიფო ბანკები ახორციელებენ საწარმოთა პირდაპირ შეღავათიან დაკრედიტებას, საბანკო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიები გაიცემა, ხოლო ამ კრედიტების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირება კი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხდება ( - , 2009, c. 24). საყურადღებოა, რომ სამთავრობო დახმარების ბენეფიციართა შორის არის ეროვნული ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა სექტორი, მათ შორის ნეკროეკონომიკის საწარმოებიც, რომლებიც თავმოყრილია, მაგალითად, მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობასა და ავტომობილების წარმოებაში და სხვ. ( - , 2009, cc. 44-46).

რაც შეეხება რუსეთში გაკოტრების შესახებ კანონის მოქმედებას, ის ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ასე მაგალითად, 2007 წლიდან ეს კანონი არ ვრცელდება სახელმწიფო კორპორაციებზე, ხოლო თუ ესა თუ ის საწარმო ითვლება სტრატეგიულად, მაშინ მასზე ამ კანონის მოქმედება შეზღუდულია იმ მიმართულებით, რომ ეს საწარმო აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ( , 2009, cc. 109-110). საყურადღებოა, რომ სახელმწიფო კორპორაციების ხელმძღვანელობაში, როგორც წესი, უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები არიან თავმოყრილნი, რომელთაც არანაირი სამეწარმეო უნარ-თვისებები არ გააჩნიათ და მცდარი მენეჯმენტის განხორციელებით ხელს უწყობენ ამ კორპორაციების გადახდისუნარობას (Markesinis, 2009, p. 27). იმავედროულად, გაკოტრების კანონის მოქმედება დიდადაა დამოკიდებული კრემლის პოლიტიკურ მიზნებზე, რაც ყველაზე ნათლად “იუკო-

სის” გაკოტრების საყოველთაოდ ცნობილ ფაქტში გამოიკვეთა (მაგალითად, Torbakov, 2006).

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, ეკონომიკური კრიზისის პირობებში კიდევ უფრო იზრდება სახელმწიფოს ზეგავლენა გაკოტრების სფეროში მისაღებ გადაწყვეტილებებზე ( - , 2009, c. 117).

აშკარაა, რუსეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებები ხელს უწყობს მოძველებული ტექნოლოგიების მქონე საწარმოების შენარჩუნებას, რაც პოსტკრიზისულ პერიოდში რუსეთის ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ( - , 2009, c. 41).

სამწუხაროდ, მთავრობის ანტიკრიზისული პროგრამა მიმართულია რუსეთის ეკონომიკის თითქმის ყოველისმომცველ ზომბირებაზე. რუსეთის ეკონომიკაში ნეკროეკონომიკის არსებობის ფართო მასშტაბების გამოკი, ზომბირების პროცესი ვრცელდება ნეკროეკონომიკის საწარმოებზეც.

## **2.8. საბერძნეთი: მთავრობის შეცდომებით დამძიმებული კრიზისი**

შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის საბერძნეთს, ისევე, როგორც თურქეთს, სხვა ქვეყნებთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ კომუნისტური წარსული არ ჰქონია. თურქეთისგან განსხვავებით, საბერძნეთი ევროკავშირის ქვეყანაა და მის ბაზარში ინტეგრირების საკმაოდ მაღალი ხარისხით ხასიათდება. ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონის მიუხედავად, ვერც საბერძნეთმა შეძლო გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი ზეგავლენის თავი-

დან აცილება (მაგალითად, Tremonti, 2009a, p. 4, 2009b, p. 3).

თუ 2008 წელს საბერძნეთის მთლიანი შიგა პროდუქტი წინა წელთან შედარებით 2,0 პროცენტით გაიზარდა, 2009 წელს მისი კლებაა მოსალოდნელი 1,1 პროცენტით და თანაც საპროგნოზო გათვლებით კლების ეს ტენდენცია 2010 წელსაც შენარჩუნდება (Eurostat, 2009b). ინფლაციას რაც შეეხება, აქ უფრო სტაბილური სიტუაციაა. კერძოდ, თუ 2008 წელს წლიური ინფლაცია 4,2 პროცენტს უდრიდა, 2009 წელს ის 1,3 პროცენტის დონეზეა დაფიქსირებული (Eurostat, 2009a). მიუხედავად ამისა, მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საბერძნეთის ეკონომიკა საკმაოდ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა (მაგალითად, Palcu, 2009).

გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს (მაგალითად, Livadas, 2009) თავიდანვე იძლეოდა საბერძნეთის საბანკო სისტემის მდგრადობა და აგრეთვე ისიც, რომ საბერძნეთი არ არის ინდუსტრიული ქვეყანა და მისი ეკონომიკა დიდად არაა დამოკიდებული ექსპორტზე (მისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ზღვაოსნობასა და ტურიზმს) (Zoumpoulidis, 2008).

საყურადღებოა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი საკმაოდ მძიმედ აისახა საბერძნეთის მრეწველობაზე. კერძოდ, 2009 წლის ნოემბერში, 2008 წლის ნოემბერთან შედარებით, სამრეწველო წარმოება 6,0 პროცენტით შემცირდა, თუმცა 2009 წლის დასაწყისში კიდევ უფრო უარესი სიტუაცია იყო, რადგან 2009 წლის იანვარში, 2008 წლის იანვართან შედარებით, სამრეწველო წარმოება 12,8 პროცენტით იყო შემცირებული (Eurostat, 2010).

რადგანაც საბერძნეთი თავისუფალია კომუნისტური წარსულისაგან, ამდენად მისი ეკონომიკა არ არის დამძიმებული ნეკროეკონომიკის ფენომენით. თუმცა კრიზისის პირობებში მაინც შეიქმნა საშუალო და

მცირე საწარმოების და მათთან დაკავშირებული ბანკების ზომბირების საფრთხე იმ სქემით (იაფი სესხების დაზღვევა სახელმწიფო გარანტიებით) (Karantinos, 2009, p. 4; Mayer Brown, 2009; Stamati, 2009), როგორც ეს დაახლოებით 20 წლის წინ მოხდა იაპონიაში. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ყველაზე რთული პრობლემა საბერძნეთს საფინანსო სექტორში აქვს, რაც მთავრობის მხრიდან ყველაზე დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, საბერძნეთის საბანკო სისტემის მხოლოდ მცირე ნაწილი მოდის უცხოელების საკუთრებაზე (Gavras and Iorga, 2009, p. 7). საყურადღებოა, რომ, ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნების პირობებში, მიმდინარე კრიზისის დროს საბერძნეთში არც ერთი ბანკი არ გაკოტრებულა (Gavras and Iorga, 2009, p. 9). საბანკო სექტორისაგან განსხვავებით, საბერძნეთის სახელმწიფო ბიუჯეტი ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა.

2009 წლის პირველ ნახევარში ევროზონის ქვეყნებიდან მხოლოდ საბერძნეთმა გამოუშვა მნიშვნელოვანი ოდენობის ობლიგაციები (Gavras and Iorga, 2009, p. 15). ამას ის ადრეც საკმაოდ ხშირად მიმართავდა, ისევე, როგორც ევროზონის ზოგიერთი სხვა ქვეყანაც (ესპანეთი, იტალია, ირლანდია), რასაც, როგორც ჯერ კიდევ 2009 წლის დასაწყისში თვლიდნენ ექსპერტები, შეეძლო სერიოზული პრობლემების შექმნა საბერძნეთისა და, საერთოდ, ევროზონისათვისაც (Spiegel, 2009; Verney, 2009, p. 3). როგორც მოსალოდნელი იყო, სიტუაცია 2009 წლის ბოლოს მართლაც დაძვირდა, როცა ახალი მთავრობის ხელში გაირკვა, რომ საბერძნეთის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიგა პროდუქტის 12,7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2010 წლისათვის კი 12,2 პროცენტია გათვალისწინებული

(Bastasin, 2009).<sup>11</sup> ეს კი საფრთხეს უქმნის ევროზონის სხვა ქვეყნებსაც (მაგალითად, AFP, 2009). რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში საბერძნეთის მთავრობისათვის უმთავრესი ისეთი რეფორმების გატარებაა, რაც უზრუნველყოფს ბიუჯეტის დეფიციტისა და, საზოგადოდ, ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას, რათა სავალო კრიზისი იქნეს დაძლეული (მაგალითად, Bastasin, 2009; Donadio, 2009).

## 2.9. საქართველო: “ომის პარადოქსი”

გლობალური ეკონომიკური კრიზისის მოახლოებასა და საქართველოს სტრატეგიაზე ამ ვითარებაში თუ რა პროფილაქტიკური ღონისძიებები უნდა გატარებულიყო, ექსპერტული ანალიზი კრიზისის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე კეთდებოდა (პაპავა, 2002, გვ. 426-450; პაპავა, ჩოჩელი, 2002, 2003ა, 2003ბ; Papava, Chocheli, 2003, 2005).

ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასახული ფინანსური კრიზისის საქართველოზე ნეგატიური გავლენის შესაძლებლობა, მისი ფინანსური ბაზრის განუვითარებლობისა და შედარებითი იზოლირებულობის გამო, არ განიხილებოდა როგორც გარდაუვალი, თუმცა, ამასთან, იკვეთებოდა ზოგიერთი სირთულე, რომლებმაც საქართველოს ეკონომიკაში 2008 წელსაც იჩინა თავი (Akhmeteli, 2008).

2008 წლის აგვისტოს რუსეთთან ომის (მაგალითად, Cornell and Starr, eds., 2009) შემდეგ საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია არა მარტო თავად ამ ომმა, არამედ გლობალური ფინანსური

---

<sup>11</sup> წინა მთავრობა, სამწუხაროდ, ყველა ღონეს ხმარობდა, სიმართლე დაემადა (Barber, 2010).

კრიზისის დაწყებამაც, რამაც ქვეყნის წინაშე თვისებრივად ახალი ამოცანები დააყენა (კაკულია, მ., 2008; Corso, 2009; Giuli, 2009; Narmania, 2009; Papava, 2008, 2009b).

უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის კრებისით ეკონომიკურ მაჩვენებლებში ერთდროულად აისახება გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა და საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგები.

საქართველოში ეკონომიკური სიტუაციის დახასიათების მიზნით უნდა მივმართოთ ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის არ ასახავს რეალურ სინამდვილეს: ვარდების რევილუციის შემდეგ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში შეიყვანეს (რაც აშკარად ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს), რის შედეგადაც მთავრობა ძალიან ხშირად მიმართავს პოლიტიკური მიზნებისათვის სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირებას (პაპავა, 2008, გვ. 27; Papava, 2009a, . 11).

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2008 წელს საქართველოში ეკონომიკის ზრდამ მხოლოდ 2,3 პროცენტი შეადგინა (2005 წელს 9,6 პროცენტს შეადგენდა, 2006 წელს – 9,4 პროცენტს, 2007 წელს – 12,3 პროცენტს) (NSOG, 2009a), მაშინ, როცა წლიური ინფლაცია 5,5 პროცენტი იყო (NSOG, 2009b). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტის სტრუქტურის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ეკონომიკის ყველაზე დიდი სექტორი სახელმწიფო აპარატზე მოდის და მთლიანი შიგა პროდუქტის 17 პროცენტს შეადგენს (Khaduri, 2009, . 151-152).

2008 წელს შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც: თუ 2007 წელს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ეს ინვესტიციები 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, 2008 წელს მათი ოდენობა 1,6 მილიარდ

აშშ დოლარზე ნაკლები იყო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების ეს ტენდენცია 2009 წელსაც შენარჩუნდა (სივილ.ჯე, 2009ვ).

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის განხილვისას უნდა აღინიშნოს, რომ მას ადგილობრივი საფუძველიც აქვს, რაც განპირობებულია ეკონომიკურ პოლიტიკაში პოსტრევილუციური მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომებით (პაპავა, 2008; Papava, 2009a; Rukhadze and Hauf, 2009). არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ სხვა მიზეზების აღნიშვნაც, რომლებმაც უშუალოდ შეუწყო ხელი საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დაწყებას (პაპავა, 2009ბ; , 2009 ):

1. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადი კონცენტრირებული იყო პრივატიზაციასა და უძრავი ქონების შექენაში, რამაც აშკარა დისბალანსი გამოიწვია, როცა ფინანსური რესურსების ნაკადის ზრდის ტემპი ქვეყანაში საგრძნობლად აღემატებოდა ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს;
2. მთავრობის მხრიდან “წაყრუების” პირობებში სამშენებლო ბიზნესში “ფინანსური პირამიდები” გაჩნდა;
3. ბანკები თავიანთ საკრედიტო რესურსებს ძირითადად ევროპის ფინანსურ ბაზრებზე შედარებით იაფი რესურსების ხარჯზე ავსებდნენ, ხოლო ეს კრედიტები უმთავრესად მშენებლობისა და იმ სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის შექენის მიზნით გაიცემოდა, რომელიც მთლიანად იმპორტირებულია საქართველოში. ამრიგად, იმპორტირებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე ფინანსდებოდა “ფინანსური პირამიდებით” დასნეულებული სამშენებლო ბიზნესი და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის



იმპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ვერანაირად ვერ აისახებოდა დადებითად.

როგორც რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებულ მხარეს, საერთაშორისო გაერთიანებამ საქართველოს მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გაუწია. კერძოდ, გამოითქვა მზადყოფნა, საქართველოსათვის გამოყოფილიყო 4,55 მლრდ აშშ დოლარის დახმარება, საიდანაც 2 მლრდ აშშ დოლარი არის გრანტი, ხოლო დანარჩენი კი შეღავათიანი კრედიტი (UN and WB, 2009). ამ თანხების საქართველოში შემოსვლა დაიწყო 2008 წელს და გაგრძელდება 2010 წლის ჩათვლით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კომერციულ ბანკებს ევროპის ფინანსურ ბირჟებზე დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ვალი დაუგროვდათ, რომლის დაფარვის ვადა 2009 წლის გაზაფხულზე დადგა. სამწუხაროდ, თავად ამ ბანკებს ვალის დაბრუნება არ შეეძლოთ, მაგრამ საქართველომ თავიდან აიცილა საბანკო კრიზისი, ვინაიდან დონორთა ზემოქმედებით დახმარების ფარგლებში საქართველოს ბანკებმა 636 მილიონი აშშ დოლარი მიიღეს (UN and WB, 2009, . 11).

საბიუჯეტო სფეროში კრიზისი იმით გამოვლინდა, რომ 2009 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების 500 მილიონი ლარით შემცირება, რაც 2009 წლისათვის დაგეგმილი ბიუჯეტის ჯამური საგადასახადო შემოსავლების 10,5 პროცენტს შეადგენს. ამასთან, მთლიანად საბიუჯეტო მაჩვენებლები გაიზარდა, რაშიც ღომის წილი დონორთა ზემოქმედებით დახმარებაზე მოდის (სივილ.ჯე, 2009ბ).

საქართველოში ეკონომიკური კრიზისის უარყოფითი ეფექტები ბევრად უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ არა საერთაშორისო თანამეგობრობის ფინანსური დახმარება საქართველოსთვის, როგორც რუსეთის სამხედ-

რო აგრესიის შედეგად დაზარალებული მხარისათვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ომი თავისი არსით უარყოფითი მოვლენაა, თუმცა საქართველოსთვის მას თავისი, თუ შეიძლება ითქვას, დადებითი მხარეც ჰქონდა, რაც ამ ფინანსური დახმარებით გამოიხატა. შედეგად მივიღეთ ე.წ. *“ომის პარადოქსი”*, როცა ომი უარყოფით შედეგებს იწვევს, მაგრამ ზოგიერთი დადებითი ეფექტიც ახლავს (პაპავა, 2009ბ; , 2009 ).

2009 წელს საქართველოს ეკონომიკაში აშკარად შეინიშნება დაქვეითება: 2009 წლის პირველ კვარტალში მთლიანმა შიგა პროდუქტმა 2008 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლის მხოლოდ 94,9 პროცენტი, ხოლო მეორე და მესამე კვარტალში, შესაბამისად 89,9 და 98,8 პროცენტი შეადგინა; მთლიანად 2009 წლის განმავლობაში კი მთლიანი შიგა პროდუქტი 3,9 პროცენტით შემცირდა (NSOG, 2009a).

საქართველოს მრეწველობაში შექმნილმა სიტუაციამ, როცა ათმა ყველაზე დიდმა საწარმომ საგრძნობლად შეამცირა წარმოების მოცულობა ან საერთოდ დაიხურა (Aris, 2009c, . 61), კიდევ უფრო გააშიშვლა ნეკროეკონომიკის პრობლემები. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა პერიოდულად იძენს სასუქს საბჭოთა პერიოდის უდიდესი ქიმიური კომბინატის “აზოტისაგან”, ამჟამად ამ საწარმომაც შეაჩერა მუშაობა (Aris, 2009c, . 61). მაგრამ ყველაზე ნიშანდობლივი ის არის, რომ საქართველოს ეკონომიკაში აშკარა კრიზისული მოვლენების მიუხედავად, ეს სამრეწველო საწარმოები, ნეკროეკონომიკის “საუკეთესო” ტრადიციებით, 2009 წლის პირველ თვეებშიც განაგრძობდნენ საწყობზე მუშაობას, რადგან მათ მიერ გამოშვებულ პროდუქციას მყიდველი არ ჰყავს; ამ საწარმოებმა მუშაობა მხოლოდ აპრილ-მაისში შეწყვიტეს, როცა ყველა საწყობი გადავსებული აღმოჩნდა (Aris, 2009c, . 61).

ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის მიზნით საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ე.წ. “ახალი ფინანსური პაკეტი”, რომელიც, ძირითადად, საბანკო და სამშენებლო სექტორს მოიცავს (სივილჯე, 2009ა). კერძოდ, მთავრობამ გადაწყვიტა 260 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება და აქედან მიღებული თანხების დაბანდებას ინფრასტრუქტურულ პროექტებში გეგმავს. ამით მთავრობა ეხმარება კომერციულ ბანკებს, რომლებიც სახაზინო ვალდებულებების ძირითადი მყიდველები არიან, რადგან ეკონომიკური კრიზისის პირობებში ბანკები ბიუჯეტიდან გარანტირებული შემოსავლის მიღებას შეძლებენ. ამასთან, პაკეტი ითვალისწინებს ბანკების რეგულირების შესუსტებასაც, რაც, მთავრობის მოსახრებით, საკრედიტო რესურსების სახით მათ დამატებით 700 მილიონ ლარზე მეტს მისცემს. ეს პაკეტი ასევე ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მერიიდან ფინანსური გარანტიების გამოყოფას იმ სამშენებლო კომპანიების მიერ საბანკო კრედიტების მისაღებად, რომლებიც ძველი თბილისის საცხოვრებელი ფონდის განახლებას მოჰკიდებენ ხელს.

როგორც ვხედავთ, თუმცა ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოსთვის ნეკროეკონომიკის პრობლემა მეტად აქტუალურია, საბედნიეროდ, მთავრობა თავისი ანტიკრიზისული ღონისძიებებით ჯერჯერობით არ აპირებს ნეკროეკონომიკის ობიექტების პირდაპირ საბიუჯეტო სუბსიდირებას, თუმცა ამ ობიექტების გაკოტრების იურიდიული პროცედურის დაწყების არც ერთი ფაქტი არ არსებობს (კობერიძე, 2009). უფრო მეტიც, 2009 წლის ბოლოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, იმ კომპანიებს, რომლებსაც 10 000 ლარზე მეტი საგადასახადო დავალიანება დაუგროვდათ, უფლება აქვთ, მოითხოვონ ამ დავალიანების რესტრუქტურისაცია, გა-

კორპორაციების კანონმდებლობის ამოქმედება რომ აიცილონ თავიდან (Sakevarishvili, 2010, p. 16). შედეგად, 2010 წლის პირველ ხუთ თვეში 50 კომპანიამ მიიღო 10 მილიონ ლარზე რესტრუქტურისაცია, ხოლო შუა ივნისისათვის კი რესტრუქტურისაციის მოხონელები რიცხვით თითქმის 600-ს მიაღწია (Sakevarishvili, 2010, pp. 15-16). ეს კი ბიუჯეტიდან ირიბი დაფინანსების სქემაა, რაც ძალზე ხშირად გამოიყენება ნეკროეკონომიკური საწარმოების მიმართ. საქართველოში მიმდინარე კრიზისის პირობებში კი ბიუჯეტიდან ირიბი დაფინანსების ეს სქემა უკვე არანეკროეკონომიკურ კომპანიებზეც ვრცელდება.

ამასთან, საქართველოს მთავრობა მზადაა, სტიმული მისცეს სამშენებლო ბიზნესში “ფინანსური პირამიდის” პრინციპებით მომუშავე კომპანიებს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ამ სამშენებლო კომპანიების ზომბირების ხელშეწყობა, ხოლო მათი დახმარებით იმ ბანკების ზომბირება, რომლებიც ქალაქ თბილისის მერიის ფინანსური გარანტიების ხარჯზე მისცემენ კრედიტებს ამ კომპანიებს (Papava, 2010c).

## 2.10. სერბეთი: პოპულიზმი არჩევნების შემდეგ

ქვეყნის ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური კრიზისის შესაძლო უარყოფითი ზეგავლენის შესახებ ყურადღება სერბეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში გაამახვილა (GRS, 2008). თუმცა მანამდე გულდამშვიდებული თვლიდა, რომ გლობალური ფინანსური კრიზისი სერბეთს გვერდს აუვლიდა (მაგალითად, , 2009).

მართალია, გლობალური ფინანსური კრიზისი უარყოფითად აისახა სერბეთის საბანკო სისტემაზე (Djuki and Djuki , 2009, pp. 497-503), მაგრამ ყურადსაღებია, რომ

ის ძირითადად უცხოელთა ხელშია და გლობალური ფინანსური კრიზისის დასაწყისში კაპიტალიზაციის საკმარისი დონით ხასიათდებოდა (Gavras and Iorga, 2009, p. 10), რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

სერბეთის ეკონომიკაზე გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენა განსაკუთრებით 2009 წელს გამოიკვეთა. თუ 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, სერბეთის მთლიანი შიგა პროდუქტი 5,5 პროცენტით გაიზარდა, 2009 წელს, წინა წელთან შედარებით, მისი 2,9 პროცენტის კლება იყო მოსალოდნელი (SORS, 2009b, p. 2). 2008 და 2009 წლებში წლიური ინფლაცია, შესაბამისად, 8,6 პროცენტისა (SORS, 2009a) და 6,6 პროცენტის (SORS, 2010a) დონეზე დაფიქსირდა.

სერბეთის მრეწველობაში კი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, რადგანაც, თუ 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით, სამრეწველო წარმოება 1,1 პროცენტით გაიზარდა, 2009 წელს ის 12,6 პროცენტით შემცირდა (SORS, 2009b), რაც, უმთავრესად, გადამმუშავებელ მრეწველობაში შექმნილი პრობლემებითაა გამოწვეული (SORS, 2010b).

ეკონომიკური კრიზისის საწყის ეტაპზე სერბეთის მთავრობა უკვე მიიჩნევდა, რომ ყველაზე მეტად ამ კრიზისის გამო ლითონწარმოება და გადამმუშავებელი მრეწველობა დაზარალდებოდა (GRS, 2008, p. 5).

სერბეთის ეკონომიკაში ნეკროეკონომიკის არსებობაზე ირიბად ის გარემოებაც მიუთითებს, რომ მხოლოდ და მხოლოდ პრივატიზაციის გზით ძველ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საწარმოების ამოქმედება პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც ახალი მეკატრონები ამ საწარმოებს ხშირ შემთხვევაში იმისათვის იძენენ, რომ მათ მიერ დაფუძნებული კომპანიების ვალები პრივატიზაციის შედეგად შექმნილ საწარმოებზე გადაამისამართონ (Bancroft, 2009, p. 42). ბელგრადში არსე-

ბულ ობიექტებთან დაკავშირებით კი უმთავრესი მოტივი არის უძრავი ქონების შექენა და არა ამ პრივატიზებულ საწარმოთა ამოქმედება (Bancroft, 2009, p. 42).

2008 წლის შემოდგომაზე უკვე გამოითქვა შეშფოთება იმის შესახებ, რომ, გლობალური ფინანსური კრიზისის გამო, სერბეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა გაეძლიერებინა თავისი როლი როგორც ქვეყნის ფინანსურ სექტორში, ისე ეკონომიკის რეალურ სექტორშიც (Jelaši, 2008). საყურადღებოა, რომ 2008 წელს სერბეთში როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნები რამდენიმე თვით ადრე ჩატარდა, სანამ გლობალური კრიზისი მიაღწევდა სერბეთამდე, რამაც ობიექტური პირობები შექმნა იმისათვის, რომ მთავრობას პოლიტიკურად სტაბილურ ვითარებაში შეემუშავებინა ანტიკრიზისული ღონისძიებები, არ ყოფილიყო იძულებული პოპულისტური ნაბიჯების გადასადგმელად (Dinkic, 2009). მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, სერბეთის მთავრობა, გარკვეული პოპულიზმის გამო, მაინც არ აღმოჩნდა თანამიმდევრული და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის (საბიუჯეტო სექტორში ხელფასების გაზრდისა და სახელმწიფო ბიუროკრატის 8 ათასი სამუშაო ადგილით არშემცირების) გამო კითხვის ქვეშ დააყენა ფონდის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარების მიღების გაგრძელების შესაძლებლობა (Nenadovic, 2010).

აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, სერბეთში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება საინვესტიციო პროექტების ნაწილობრივი სუბსიდირება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში და მათ შორის გადამმუშავებელ მრეწველობაშიც (Dinkic, 2009).

კრიზისის გამო სერბეთის მთავრობა რეალური სექტორის მხარდაჭერის მიზნით საბანკო პროცენტის სუბსიდირებას ახორციელებს (Cvetkovic, 2009).

ანტიკრიზისულ ღონისძიებათა შორის სერბეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 2008 წლის მიწურულს მიიღო გადაწყვეტილება ფინანსური ინსტიტუტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემის შესახებ, რათა მათ შეძლონ გარკვეული ინიციატივების მხარდაჭერა მრეწველობაში (GRS, 2008, p. 7). კერძოდ, მიზანშეწონილადაა მიჩნეული სუვერენული გარანტიების გაცემა ეროვნული ბანკის სასარგებლოდ, რომელიც შემდეგ ბანკებს დაუმტკიცებს კრედიტებს, რათა მათ ბიზნესზე უშუალოდ გასცენ შეღავათიანი კრედიტები (GRS, 2008, p. 11), ხოლო, ფისკალური ტვირთის შემცირების მიზნით არგადახდილ საგადასახადო დავალიანებათა ჩამოწერამ რეგულარული ხასიათი მიიღო (GRS, 2008, p. 12).

იმ კომპანიებში, სადაც საკუთრების უდიდესი ნაწილი სერბეთის სახელმწიფოს ხელშია, მთავრობა, ეკონომიკური კრიზისის გამო, არამწარმოებლურ ხარჯებზე მკაცრ შეზღუდვებს აწესებს (GRS, 2008, p. 10).

ეკონომიკური კრიზისის პირობებში სერბეთის მთავრობა თვლის, რომ ფირმების გაკოტრებისა და ლიკვიდაციის პროცესისადმი უფრო მეტი პასუხისმგებლობა უნდა იქნეს გამოჩენილი (GRS, 2008, p. 9).

საყურადღებოა, რომ სერბეთი გაკოტრების პროცედურებისა და სასამართლოების ეფექტიანობის მიმართ კრედიტორების უნდობლობით ხასიათდება ( , 2009). თანაც უმთავრესი პრობლემა არის – ე.წ. “გარდვევა განხორციელებაში” (“implementation gap”), როცა გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ხარისხს მისი განხორციელების ხარისხი არსებითად ჩამოუვარდება (Gourley and Uttamchandani, 2005, pp. 2-5). აქედან გამომდინარე, არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ სერბეთს ესაჭი-

როება გაკოტრების ბევრად ეფექტიანი პროცედურები (Marinkovic, 2009), რამაც ხელი უნდა შეუწყოს მათ ქმედუნარიან განხორციელებას.

სერბეთის მთავრობის მიერ შემუშავებული ანტიკრიზისული ღონისძიებები გაკოტრების შესახებ, პროცედურების დაბალი ეფექტიანობის პირობებში, ეკონომიკის ზომბირების რეალურ საფრთხეს ქმნის.

## 2.11. სომხეთი: “დიასპორის პარადოქსი”

ბუნებრივი რესურსების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი დეპოზიტების არარსებობის პირობებში გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა სომხეთის ეკონომიკაზე სერიოზული უარყოფითი ზეგავლენა იქონია. ეს ქვეყანა ასევე რუსეთ-საქართველოს ომმაც დააზარალა (მაგალითად, Cornell and Starr, eds., 2009). კერძოდ, ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ამ ომის გამო სომხეთის ეკონომიკისადმი მიყენებული პირდაპირი და არაპირდაპირი ზარალი 600-700 მლნ აშშ დოლარადაა შეფასებული (Avagyan, 2009, p. 98; Khachatryan, 2009b, p. 48).

2008 წელს წლიურმა ინფლაციამ სომხეთში 9,0 პროცენტი შეადგინა, ხოლო მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა 6,8 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა (Avagyan, 2009, p. 49). 2009 წლის იანვარ-ნოემბერში მთლიანმა შიგა პროდუქტმა 2008 წლის შესაბამისი პერიოდის მხოლოდ 84,0 პროცენტი შეადგინა (NSSRA, 2009), ხოლო, საბოლოოდ, 2009 წელს ის წინა წელთან შედარებით 14,4 პროცენტით შემცირდა (Khachatryan, 2010, p. 2). 2009 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 10 პროცენტით ნაკლები იყო 2008 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (Khachatryan, 2009a). 2009 წლის იანვარ-მაისში სამრეწვე-



ლო წარმოება 10,5 პროცენტით, ხოლო მშენებლობა 56,1 პროცენტით შემცირდა (მაგალითად, Yeranosyan, 2009, p. 128). სომხეთის ეროვნული ბანკი და მთავრობა 2009 წლისათვის ეკონომიკის 6-8 პროცენტთან შემცირებას გეგმავდა (Aris, 2009a, p. 49, 2009b, p. 58).

როგორც ცნობილია, სომხეთის განვითარების ყველა სფეროში (მაგალითად, Libaridian, 1999, pp. 119-148), უწინარეს ყოვლისა, ინვესტიციებსა და ეკონომიკურ დახმარებაში (მაგალითად, Minoian and Freinkman, 2003), განსაკუთრებული როლი სომხურ დიასპორას უკავია. კერძოდ, კრიზისამდელ პერიოდში კერძო ფულადი გზავნილები მთლიანი შიგა პროდუქტის 15-30 პროცენტს შეადგენდა (Yeranosyan, 2009, pp. 128-129).

დიასპორასთან მიმართებაში სომხეთის მთავრობის მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისულ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია “სრულიად სომეხთა ბანკის” შექმნაზე, რომლის საკონტროლო პაკეტი ექნება სომხეთის მთავრობას და რომელიც მოიზიდავს სომხური დიასპორის ფონდებს (Khachatryan, 2009a, p. 6).

იმის გათვალისწინებით, რომ სომეხ მიგრანტთა 70-80 პროცენტი მუშაობს რუსეთში, სომხეთი იმ საფრთხის წინაშე დადგა, რომ რუსეთში განვითარებულმა კრიზისმა ამ მიგრანტთა უკან, სამშობლოში დაბრუნება არ გამოიწვიოს, რასაც ქვეყანაში უმუშევრობის გაზრდა და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ახალი ტვირთის შექმნა მოჰყვება (Khachatryan, 2009a, p. 5, 2010, p. 2). აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ კრიზისის გამო რუსეთიდან ფულადი გზავნილები 30 პროცენტით შემცირდა (Avagyan, 2009, pp. 98-99). ეს უკანასკნელი კი უმაღლეს სახელმწიფო ბიზნესზე, რადგან მოსახლეობა უმთავრესად ფულადი გზავნილების ხარჯზე იშენებდა ახალ სახლებსა და ბინებს (Khachatryan, 2010, pp. 2-3).

სხენებუდიდან გამომდინარე, სომხეთი ე.წ. “*ღიასპორის პარადოქსის*” საფრთხის წინაშე დადგა: ერთი მხრივ, ღიასპორა არის სომხეთის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი წყარო, ხოლო თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი შეიძლება სომხს მიგრანტთა სამშობლოში დაბრუნების (განსაკუთრებით რუსეთიდან) მასტიმულირებელი გახდეს, რაც ქვეყანას ახალ ეკონომიკურ სირთულეებს შეუქმნის.

როგორც მოსალოდნელი იყო, კრიზისმა, უწინარეს ყოვლისა, სომხეთის მრეწველობა დააზარალა, რამეთუ ეკონომიკის სწორედ ამ დარგშია ნეკროეკონომიკური საწარმოები უმთავრესად თავმოყრილი. 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა, შესაბამისად, 9,6 და 14,8 პროცენტით შემცირდა (Khachatryan, 2009b, p. 51). აქვე იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ 2008 წელს მთლიანი სამრეწველო პროდუქციის მხოლოდ 98,7 პროცენტი გაიყიდა და აქედან 70 პროცენტი გაიყიდა ქვეყნის შიგნით (Khachatryan, 2009b, p. 51), რაც სომხეთის ეკონომიკის ნეკროეკონომიკურ ბუნებას უსვამს ხაზს. როგორც ვხედავთ, სომხეთის ეკონომიკის უმთავრესი პრობლემები ეკონომიკის რეალურ სექტორშია თავმოყრილი (Aris, Ben, 2009a, p. 50).

2008 წლის ნოემბერში სომხეთის მთავრობამ ანტიკრიზისული პროგრამა შეიმუშავა, რომელიც, სხვათა შორის, ფინანსურ-ეკონომიკური სირთულეების მქონე საწარმოებისათვის როგორც საბიუჯეტო სუბსიდირებას, ისე სამთავრობო გარანტიების გაცემას ითვალისწინებს (Avagyan, 2009, pp. 99-100; Khachatryan, 2009a, p. 6). მაგალითად, ყურადღების ცენტრში მოექცა სპილენძის წარმოება (Khachatryan, 2010, p. 3). შედეგად ოცზე მეტმა კომპანიამ მთავრობისაგან ჯამურად უკვე მიიღო 67 მლნ აშშ დოლარზე მეტი ფინანსური დახმარება (Khachatryan, 2009a, p. 7). საკრედიტო გარანტია უშუალოდ

სამშენებლო ბიზნესზე მთავრობამ 12 მლნ აშშ დოლარზე გასცა (Khachatryan, 2010, p. 4).

სამწუხაროდ, სომხეთის ეკონომიკა შეუნიღბავად ადგას ეკონომიკის ზომბირების გზას, ხოლო რადგანაც სომხეთში ნეკროეკონომიკის მასშტაბები მნიშვნელოვანია, ზომბირების საფრთხე ამ უკანასკნელსაც ემუქრება (Papava, 2010c).

## 2.12. უკრაინა: შეცდომებისა და კრიზისების ქვეყანა

გლობალური ფინანსური კრიზისის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე გავრცელებისთანავე უკრაინასთან დაკავშირებით საკმაოდ პესიმისტური პროგნოზები კეთდებოდა (მაგალითად, McElroy and Wall, 2008), რაც სულაც არ არის გასაკვრი იმის გათვალისწინებით, თუ რაც ხდებოდა ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკაში. სამწუხაროდ, უკრაინაში წლების განმავლობაში ე.წ. “ბინძური” პოლიტიკა ტარდებოდა, რამაც მას დიდი ზიანი მიაყენა და გლობალური ფინანსური კრიზისის უარყოფითი ზეგავლენისაგან ქვეყანა პრაქტიკულად დაუცველი დატოვა (Aris, 2009c; Åslund, 2009a, p. 231). უკრაინის ეკონომიკაში შექმნილ ვითარებას განსაკუთრებით ამძიმებდა მისი პარლამენტის ხანგრძლივი უმოქმედება და საერთოდ სახელისუფლო ინსტიტუტების არაეფექტიანობა (Panfilova, 2009, pp. 364, 374). პოლიტიკური არასტაბილურობა კი, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისის პირობებში, ყველაზე მეტად სწორედ ქვეყნის ფინანსურ სისტემაზე აისახება ხოლმე, და ეს ასეც მოხდა (Åslund, 2009a, pp. 229-230; Gavras and Iorga, 2009, p.11; Khylyshyna, 2009; Panfilova, 2009, pp. 372-373). ამის თვალსაჩინო მაგალითია კრიზისის დაწყებიდან მოკლე პერიოდში უკრაინის ეროვნული ვალუტის გრივნას 20 პროცენტის ნახტომისებური გაუფა-

სურება აშშ დოლართან მიმართებაში (Korduban, 2008), საბოლოო ჯამში კი გაუფასურებამ 50 პროცენტსაც მიაღწია ( , , 2009, c. 140).

ასე რომ, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის გამო ყველაზე უფრო მეტად უკრაინა დაზარალდა (Gavras and Iorga, 2009, p.11), შედეგად, ყველაზე შთამბეჭდავი ეკონომიკური ვარდნა სწორედ ამ ქვეყანაში დაფიქსირდა. თუ 2008 წელს მთლიანი შიგა პროდუქტი, 2007 წელთან შედარებით, მხოლოდ 2,1 პროცენტით გაიზარდა (SSCU, 2009b), 2009 წელს სიტუაცია აშკარად დამძიმდა: პირველ, მეორე და მესამე კვარტალში, 2008 წლის შესაბამის კვარტლებთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტი, შესაბამისად, 20,3, 17,8 და 15,9 პროცენტით შემცირდა (SSCU, 2009d). პროგნოზის თანახმად, 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, მთლიანი შიგა პროდუქტის 14,1 პროცენტიანი კლება იყო მოსალოდნელი (CIA, 2010b). საყურადღებოა, რომ 2008 და 2009 წლებში უკრაინაში საკმაოდ მაღალი იყო ინფლაცია და ის, შესაბამისად, 22,3 (SSCU, 2009a) და 12,3 პროცენტის (SSCU, 2010a) დონეზე დაფიქსირდა.

2009 წელს უკრაინის მრეწველობაშიც სერიოზულ კლებას ჰქონდა ადგილი. კერძოდ, სამრეწველო წარმოების ინდექსი 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, 78,1 პროცენტის დონეზე დაფიქსირდება (SSCU, 2010b). საყურადღებოა, რომ უკრაინის მრეწველობა 2008 წელსაც განიცდიდა სირთულეებს, რადგან სამრეწველო წარმოების ინდექსი 2007 წელთან შედარებით 96,9 პროცენტი იყო (SSCU, 2009c).

ყველაზე სერიოზული პრობლემები აქვს უკრაინის სამთო-მეტალურგიულ კომპლექსს, ქიმიურ მრეწველობასა და მანქანათმშენებლობას (Panfilova, 2009, p. 366), რაც ამ დარგების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით ( , , 2009, c. 139) აიხსნება.

მრეწველობის ეს სექტორები ძალზე დაბალი დონის დამატებული ღირებულების შემქმნელებად ხასიათდება (Gavras and Iorga, 2009, p.15). ისიც კარგადაა ცნობილი, რომ უკრაინის ფოლადის მწარმოებელი საწარმოების უმრავლესობა აშკარად არაეფექტიანია (Åslund, 2009a, p. 230), რადგანაც უიმედოდ მოძველებულ ენერგოტექნოლოგიებზეა დამყარებული (Stack, 2010, p. 14). საყურადღებოა, რომ მრეწველობის ამ დარგების განვითარების მოკლევადიანი პროგნოზები ასევე არასახარბიელოა (Gazizullin, Ildar, 2010, p. 1).

ყოველივე ეს სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ უკრაინის ეკონომიკა, განსაკუთრებით მისი მრეწველობა, საკმაოდ აა ნეკროეკონომიკის ფენომენით დამქიმებული.

უკრაინაში ნეკროეკონომიკის შენარჩუნებას ხელს უწყობდა მრეწველობისათვის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი სუბსიდირების მიცემა, თანაც არა მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან, არამედ ენერგეტიკული სექტორიდანაც (როცა მთავრობა სუბსიდირებას უწევს ენერგეტიკულ კომპანიებს, რათა მათ იაფად მიჰყიდონ ენერგია სამრეწველო საწარმოებს) (Babanin, Dubrovskiy and Ivaschenko, 2004, pp. 82-84; , 2009, c. 127). მოგვიანებით მრეწველობის ღია სუბსიდირება შეფარული სუბსიდირებითაც შეიცვალა (Babanin, Dubrovskiy and Ivaschenko, 2004, p. 87).

გლობალური ფინანსური კრიზისის უკრაინის ეკონომიკაზე უარყოფითი ზეგავლის გამოვლენიდან მოყოლებული, უკრაინის პარლამენტმა რამდენჯერმე დაამტკიცა ანტიკრიზისული კანონები, რომლებიც მოქმედ კანონებში ცვლილებების შეტანას ძირითადად ამ ზეგავლენის შემცირების მიზნით ითვალისწინებდა.

ჯერ კიდევ 2008 წლის შემოდგომაზე იქნა მიღებული პირველი ასეთი კანონი. განსაკუთრებული აღნიშვნა

ნის ღირსია ის გარემოება, რომ ეს კანონი, სხვა საკითხებთან ერთად, კომპანიების უცხოური ვალუბის დაფარვისა და ეროვნული პროექტების ინვესტირებაში დახმარების მიზნით სტაბილიზაციის სამთავრობო ფონდის შექმნას და პრობლემური ბანკების ნაციონალიზაციის შესაძლებლობას ითვალისწინებდა (Korduban, Pavel, 2008). ამკარაა, ამგვარი ანტიკრიზისული ღონისძიება ეკონომიკის ზომბირების ხელშემწყობია. აქვე ის გარემოებაცაა აღსანიშნავი, რომ უკრაინის მთავრობის ხელთ შედარებით მწირი ფინანსური რესურსებია მასშტაბური სამთავრობო პროგრამების განსახორციელებლად ( , 2009, c. 139).

მსოფლიო ბანკის რეკომენდაცია იყო, რომ უკრაინის მთავრობას სულ სხვა ტიპის ანტიკრიზისული ღონისძიებები შეემუშავებინა (რომელიც დაეფუძნებოდა ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის გაძლიერებას, ბიუჯეტის ხარჯების წარმართვას ინფრასტრუქტურის განვითარებასა და უპოვართა დახმარებაზე, დეპოზიტორთა დაცვის ნათელ სტრატეგიას, ბიზნესის დაწყების გაადვილებასა და კერძო ინვესტიციების მოზიდვას) (Raiser, Martin, 2009), რაც, სამწუხაროდ, რეალურად მთავრობამ არ გაიზიარა.

2009 წლის გაზაფხულზე უკრაინის პარლამენტმა მიიღო ფერმერთა მხარდაჭერის ანტიკრიზისული კანონი, რომლის თანახმადაც უნდა გაიზარდოს ფერმერთა დაკრედიტება სამთავრობო მხარდაჭერის ხარჯზე, რძისა და ხორცის მწარმოებელთა სუბსიდრება დამატებული ღირებულების გადასახადის ხარჯზე უნდა მოხდეს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვაზე მორატორიუმი უნდა გაგრძელდეს (USUBC, 2009).

უკრაინის პარლამენტის მიერ 2009 წლის შემოდგომაზე დამტკიცებული მორიგი ანტიკრიზისული კანონის მიხედვით, ქვეყანაში იზღუდება უცხო ვალუტის გამოყენების შესაძლებლობა, დამატებითი კონტროლი შე-

მოდის საგარეო ვაჭრობაში და ა.შ. მაგალითად, ყველა ინვესტორი ვალდებულია, არა მარტო გაიაროს რეგისტრაცია, არამედ ინვესტიცია განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ უკრაინის ეროვნულ ვალუტაში – გრივნაში, ხოლო კერძო პირებს, გარდა სამედიცინო და საგანმანათლებლო მიზნებისა, ეკრძალებათ სესხების აღება უცხოურ ვალუტაში (Grubb and Soshenko, 2009). საერთაშორისო გამოცდილებიდან კარგადაა ცნობილი, რომ ასეთი შეზღუდვები, როგორც წესი, ხელს უწყობს არალეგალური სავალუტო ოპერაციების განხორციელებას. შედეგად გრივნის ლეგალური გაცვლითი კურსის პარალელურად მისი ბევრად უარესი არალეგალური გაცვლითი კურსი ჩამოყალიბდება. ეს კი საკმაოდ ხელშემშლელი იქნება კერძო ინვესტიციებისათვის უკრაინის ეკონომიკის მიმზიდველობის გასაზრდელად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით უკრაინის მთავრობის ანტიკრიზისული ღონისძიებები შეფასებულია, როგორც ძალზე არაეფექტიანი (Gazizullin, 2010, p. 11).

უკრაინის ეკონომიკის, და კონკრეტულად მისი ნეკროეკონომიკის, ზომბირებას ხელს უწყობს გაკოტრების ეფექტიანი პროცედურების არარსებობა. შედეგად, ჯერ კიდევ თანამედროვე კრიზისის დაწყებამდე, სამრეწველო საწარმოების ნახევარი დანაკარგებით მუშაობდა, ხოლო ვალების ჩამოწერა და საერთოდ გაკოტრების თავიდან აცილება ამ საწარმოთა ხელმძღვანელებსა და სამთავრობო ოფიციალურ პირებს შორის გარიგების საგანი იყო (Babanin, Dubrovskiy and Ivaschenko, 2004, p. 92).

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში გაკოტრების შესახებ კანონმდებლობა პერიოდულად განიცდიდა განახლებას (Biryukov, 2001, pp. 581-600), სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონიც სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება (მაგალითად, UNIAN, 2010).

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ უკრაინის ეკონომიკა ერთ-ერთი ყველაზე ნეკროეკონომიკურია, ხოლო მისი მთავრობის მოქმედება თანამედროვე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ეკონომიკის (და, რა თქმა უნდა, ნეკროეკონომიკის) ზომბირებისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის (Papava, 2010d).



## დასკვნა

მბრძანებლური ეკონომიკისგან მემკვიდრეობით დარჩენილი მკვდარი საწარმოები საკმაოდ “გამძლე” აღმოჩნდა, რის შედეგადაც მრავალი პოსტკომუნისტური ქვეყნის საბაზრო ეკონომიკა ნეკროეკონომიკის ტერიტორიაა დამკვიდრებული. საზოგადოების სწორედ ნეკროეკონომიკური საძირკველი განსაზღვრავს პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის ეკონომიკურ სახეს. ნეკროეკონომიკის რუტინის მატარებელს კი წარმოადგენს *homo transformativus*-ი – ადამიანი, რომელიც ეკონომიკას და მთელ საზოგადოებას გარდაქმნის კაპიტალისტური ფასეულობების მიმართულებით და თავადაც ამ მიმართულებით განიცდის ტრანსფორმაციას.

ეკონომიკის მკვდარი ნაწილის ფენომენი უცხო არ არის განვითარებული ეკონომიკის ზოგიერთი ქვეყნისთვისაც: ფინანსურმა კრიზისებმა ხელი შეუწყო რუტინის წარმოქმნას, რომელიც საბანკო სისტემის მემკვიდრეობით უზრუნველყოფს ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმებისადმი სამთავრობო მხარდაჭერის სტაბილურობას. შედეგად იქმნება ზომბი-ბანკების და ზომბი-ფირმების ქსელი, რომელიც წარმოქმნის სწორედ ზომბი-ეკონომიკის სისტემას.

ნეკროეკონომიკისგან განსხვავებით, რომლის რუტინის მატარებელია ჯერ ჩამოუყალიბებელი ადამიანი, ზომბი-ეკონომიკის რუტინის მატარებელი უკვე ცოცხალი ადამიანი კი არაა, არამედ ზომბია – *zombie economicus*-ია.

თანამედროვე ფინანსური კრიზისის პირობებში ზომბი-ეკონომიკის საფრთხე სულ უფრო ძლიერად “უკაკუნებს კარზე” განვითარებული ეკონომიკის იმ ქვეყნებსაც, რომლებიც ბოლო დრომდე ახერხებდნენ ეკონომიკის ზომბირების თავიდან აცილებას.

ეკონომიკის ზომბირების საშიშროება კიდევ უფრო მეტად ემუქრება პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რადგან ამ შემთხვევაში ნეკროეკონომიკის ზომბირებაც მოხდება, რაც პოსტკრიზისულ პერიოდში მნიშვნელოვანწილად გაართულებს ამ ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღებას.

როგორც ნეკროეკონომიკისგან, ისე ზომბი-ეკონომიკისგან თავის დაღწევის ერთადერთი ქმედითი მექანიზმია გაკოტრების შესახებ კანონმდებლობის ამოქმედება, რისთვისაც აუცილებელია მმართველი ელიტის შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობა. არ უნდა ველოდოთ, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ამ ელიტას, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ეყოფა პოლიტიკური გამბედაობა, აამოქმედოს გაკოტრების მექანიზმი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს მექანიზმი გადაუდებლად ამოქმედდეს პოსტკრიზისულ პერიოდში. და ის ქვეყანა, რომლის ხელმძღვანელობასაც ეყოფა პოლიტიკური ნება, თავი დააღწიოს ზომბი-ეკონომიკასა და ნეკროეკონომიკას, ეკონომიკური აღმავლობისათვის მძლავრ სტიმულს შეიძენს.

რა თქმა უნდა, ეკონომიკური კრიზისის დროს ფირმებისა და ბანკების მიერ გადახდისუნარიანობის დაკარგვის პროცესი გახშირებულია, თუმცა მთავრობისათვის ძალიან ძნელია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება გაკოტრების კანონმდებლობის ამოქმედების, მისი გააქტიურების ინიცირების მიმართულებით. როგორც წესი, მთავრობა იმდენადაა დაინტერესებული დასაქმების დონის თუნდაც ხელოვნურ შენარჩუნებაში, რომ ამ პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარე ცდილობს ისეთი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას, რითაც ხელს უწყობს ეკონომიკური კრიზისის პირობებში გადახდისუნარო ფირმებისა და ბანკების შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მთავრობა პოსტკრიზი-

სულ პერიოდში რამდენად გააგრძელებს გადახდისუნარი ფირმებისა და ბანკების მხარდაჭერას, რამდენად შეუწყობს ხელს გაკოტრების პროცედურების გამარტივებას.

შავი ზღვის რეგიონის თორმეტი ქვეყნიდან აბსოლუტური უმრავლესობა – ათი, პოსტკომუნისტურია. მხოლოდ საბერძნეთსა და თურქეთს არ აქვთ კომუნისტური წარსული, ხოლო რეგიონის დანარჩენი ათი ქვეყანა მეტ-ნაკლებად დამძიმებულია მბრძანებლური ეკონომიკის მემკვიდრეობით. ამ ათი ქვეყნიდან წარმატებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ბულგარეთი და რუმინეთი, რომლებმაც ევროკავშირის წევრობას მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებით მიაღწიეს, ხოლო დანარჩენი რვის წინაშე ეს ამოცანა ან საერთოდ არ დგას (მაგალითად, რუსეთი), ან ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი ევროპული სტანდარტების მისაღწევად. ეს რვა ქვეყანა თავისი ეკონომიკური განვითარების დონით (და არა მარტო) მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირში მიღებულ სტანდარტებს, ამიტომ ისინი შეიძლება გავაერთიანოთ “აუტსაიდერი” პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯგუფში (აზერბაიჯანი, ალბანეთი, მოლდავეთი, რუსეთი, საქართველო, სერბეთი, სომხეთი, უკრაინა), ხოლო მათ საპირისპიროდ, ბულგარეთი და რუმინეთი განეკუთვნებიან შავი ზღვის რეგიონის ე.წ. “ლიდერი” პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯგუფს.

შავი ზღვის რეგიონის პოსტკომუნისტური ქვეყნები ოცი წლის წინ მეტ-ნაკლები ერთიანი სასტარტო პირობებითა და ერთნაირი გამოწვევებით ხასიათდებოდნენ და დღესაც, გლობალური კრიზისის პირობებში, მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან. თუმცა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ძირითადი ამოცანები და მათი გადაჭრის გზები მაინც განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან თავისუფალნი კომუ-

ნისტური წარსულისაგან (საბერძნეთი და თურქეთი) ან რამდენად დააღწიეს თავი კომუნისტურ წარსულს (“ლიდერი” ქვეყნები), ან რამდენად არიან ჯერ კიდევ კომუნისტური მემკვიდრეობის ტყვეობის ქვეშ (“აუტსაიდერი” ქვეყნები).

პოსტკრიზისულ პერიოდში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რამდენად სრულყოფილი იქნება სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტები, თუ რამდენად რეფორმირებული და გამჭვირვალე იქნება სახელმწიფო მმართველობის სისტემა (მაგალითად, Ladi, 2008). ამაზე გარკვეულწილად იქნება დამოკიდებული ის, თუ რამდენად შეძლებს ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობა, ეკონომიკას ააცილოს ზომბირება.

თანამედროვე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში შავი ზღვის რეგიონის ყველა ქვეყნის ანტიკრიზისული პროგრამა შეიცავს ეკონომიკის ზომბირების საფრთხეს, ხოლო “აუტსაიდერ” ქვეყნებში (გარდა საქართველოსი) ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხესაც, რაც ბევრად უარესი მოვლენაა.

პოსტკრიზისულ პერიოდში, სავარაუდოდ, უკეთესი მდგომარეობა ექნება შავი ზღვის რეგიონის არაკომუნისტური წარსულის მქონე და “ლიდერ” პოსტკომუნისტურ ქვეყნებს. ამ ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ამ ქვეყნებში გაკოტრების კანონმდებლობის ეფექტიანობის შედარებით მაღალი დონე. თანამედროვე ფინანსური და ეკონომიკური კრიზისით შექმნილი სირთულეების მიუხედავად, ხსენებულ ქვეყნებში გაკოტრების პროცესი მაინც უფრო მეტი დინამიურობით ხასიათდება (Ramalho, Rodríguez-Meza and Yang, 2009) ვიდრე შავი ზღვის რეგიონის სხვა ქვეყნებში. ამ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია კი საბერძნეთშია, რაც სავალდებულო კრიზისთანაა დაკავშირებული.

გლობალურ ფინანსურ კრიზისს ყველაზე უფრო “დაცული” აზერბაიჯანი დახვდა, რასაც მისი ეკონომიკის შედარებით ჩაკეტილობამ შეუწყო ხელი.

შავი ზღვის რეგიონის “აუტსაიდერი” ქვეყნების უდიდესი უმრავლესობა ნეკროეკონომიკის ზომბირების რეალური საფრთხის წინაშე დგას. მათგან ყველაზე უარესი მდგომარეობა რუსეთსა და უკრაინაშია, რომელთა მთავრობებიც ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დაწყებამდე დიდად ეხმარებოდნენ ნეკროეკონომიკურ საწარმოებს, ხოლო კრიზისის გამო ეს დახმარება კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდა. ასევე მძიმე ვითარებაა შექმნილი ალბანეთსა და მოლდავეთში.

პოლიტიკური არასტაბილურობა ართულებს მთავრობის მხრიდან პოპულისტურ ნაბიჯებზე უარის თქმას და ეს ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში ძალზე მძიმედ აისახა მოლდავეთსა და უკრაინაზე. თუმცა პოლიტიკური სტაბილურობა არ იძლევა იმის აუცილებელ პირობას, რომ მთავრობა დაცული იქნება პოპულიზმისაგან, რასაც, სამწუხაროდ, სერბეთის გამოცდილება ადასტურებს.

დასასრულ, პოსტკრიზისულ პერიოდში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო წარმატებული ის იქნება, რომლის მთავრობასაც ექნება პოლიტიკური ნება, შეწყვიტოს ეკონომიკის წარმართვა მისი ზომბირების მექანიზმებით. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის “აუტსაიდერი” ქვეყნებისათვის, რომლებიც ისედაც არიან ნეკროეკონომიკით “დასნეულბულნი”.

## ბამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე რამაზ, 2010. “ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, “სიახლე”.

ასათიანი როზეტა, 2009ა. “გლობალური ფინანსური კრიზისი და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში”. *სოციალური ეკონომიკა*, № 6.

ასათიანი როზეტა, 2009ბ. “საქართველოს საბანკო სისტემა გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში”. *ეკონომისტი*, 2009, № 4.

ასათიანი როზეტა, 2010. “გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, “სიახლე”.

გამსახურდია გივი, 2009. “საქართველოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ეროვნული კონცეფციის შესახებ”. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.

გველესიანი მერაბ, 2009. “ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა, პარადიგმა და პარადოქსები”. წიგნში: *ეკონომიკური განვითარების ტენდენციები*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი.

კაკულია მერაბ, 2008. “ომის შემდგომი ეკონომიკური საფრთხეები საქართველოში და მათი ნეიტრალიზაციის გზები”. *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა*, ოქტომბერი.

კაკულია მერაბ, 2010. “ომის შემდგომი საქართველოს მაკროეკონომიკური პარადიგმა”. წიგნში: *საქართველო – 2009. ომის შემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები*. თბილისი, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი.

კაკულია ნაზირა, 2010. “ინსტიტუციური სფეროს ნეკროეკონომიკური პროცესები და მისი დაძლევის ძირითადი სტრატეგია”. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული* (8-9 ივლისი, 2010). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

კაკულია რევაზ, 2010. “გლობალიზაცია და ფინანსური ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, “სიახლე”.

კვარაცხელია მურმან, 2010. “გლობალური ფინანსური კრიზისის საკითხისათვის”. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული* (8-9 ივლისი, 2010). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

კობერიძე ლელა, 2009. “რატომ ვერ კოტრდება გასაკოტრებელი”. *BusinessPresa.ge*, 27 ნოემბერი, <http://anonymouse.ru:8080/newmouse/browse.php?u=Oi8vYnVzaW5lc3MucHJlc2EuZ2UvP3A9MjU3Ng%3D%3D&b=5>.

იაკობიძე დავით, 2009. *საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი*. თბილისი, “კომენტარი”.

მაღაშხია გიორგი, 2010. “კრიზისი და განვითარება”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, “სიახლე”.

მესხია იაკობ, 2009. “გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები”. *ეკონომისტი*, № 2.

მესხია იაკობ, 2010. “ფინანსური დავალიანებების ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, “სიახლე”.

მექვაბიშვილი ელგუჯა, 2009. *ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები*. თბილისი, “ინოვაცია”.

მექვაბიშვილი ელგუჯა, 2010ა. “გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის კვლევის ზოგიერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი.” წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული* (8-9 ივლისი, 2010). თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

მექვაბიშვილი ელგუჯა, 2010ბ. “სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში”. *ეკონომიკა და ბიზნესი*, № 2.

ნუცუბიძე თამილა და ხათუნა ნუცუბიძე, 2010. “მსოფლიო კრიზისი და საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური სისტემის თანამედროვე პრობლემები”. წიგნში: *ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული* (8-9 ივლისი, 2010). თბი-



ლისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

პაპავა გიორგი, 2010. “ეკონომიკის რეფორმირება თუ დეფორმირება”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 8. თბილისი, “სიახლე”.

პაპავა ვლადიმერ, 2000. “ნეკროეკონომიკა”. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, № 10.

პაპავა ვლადიმერ, 2002. *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა*. თბილისი, “პდპ”.

პაპავა ვლადიმერ, 2008. “პოსტრეფოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია”. წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 6. თბილისი, “სიახლე”.

